ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

1. სოფიო დოლიძე, ასოცირებული პროფესორი, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

აკადემიური პერსონალი:

1. აბაშიძე თამარ, ასოც. პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
2. არუთინოვა ლუიზა, ასოც. პროფესორი, პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;
3. აფთარაშვილი ია, ასოც. პროფესორი, განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
4. გაგოშიძე, თამარ, პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
5. გამსახურდია ვლადიმერ, ასისტენტ-პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
6. დესპოტაშვილი მედეა, ასოც. პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
7. დოლიძე სოფიო, ასოც. პროფესორი, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
8. თევდორაძე სოფიო, ასისტენტ-პროფესორი, განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
9. იმედაძე ირაკლი, ასოც. პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
10. კვანჭილაშვილი ელენე, ასოც. პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
11. კუტალაძე იამზე, პროფესორი, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
12. ლაბარტყავა ნინო, ასოც. პროფესორი, განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
13. ლოდია თეონა, ასისტენტ-პროფესორი, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;
14. მამუკაძე შორენა, ასოც. პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
15. მარწყვიშვილი ხათუნა, ასოც. პროფესორი, პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;
16. მელიქიშვილი მანანა, ასოც. პროფესორი, განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
17. მესტვირიშვილი მაია, ასოც. პროფესორი, პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;
18. მოსაშვილი ქეთევან, ასისტენტ-პროფესორი, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;

19. ნადარეიშვილი ვახტანგ, პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
20. ჟვანია ირინე, ასოც. პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
21. რობაქიძე მაია, ასოც. პროფესორი, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
22. სორდია ნათია, ასისტენტ-პროფესორი, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;
23. სურმანიძე ლალი, პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
24. ფანჯიკიძე მარიამ, ასისტენტ-პროფესორი, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;
25. ფარსადანიშვილი ნაზი, ასისტენტ-პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
26. ფირცხალავა ეკატერინე, ასოც. პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
27. ქიტიაშვილი ანასტასია, პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
28. ყიფიანი გიორგი, ასოც. პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
29. ჩიტაშვილი მარინე, პროფესორი, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;
30. წერეთელი მზია, პროფესორი, განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
31. ხეჩუაშვილი ლილი, ასოც. პროფესორი, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით.

1. ,,პერსონალის შერჩევის მრავალფაქტორიანი კითხვარის შექმნა და სტანდარტიზაცია". დონორი: NATO; სოციალური მეცნიერებები/ფსიქოლოგია/შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: 2020-2022 წწ
3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით):
4) პროექტის ხელმძღვანელი: იამზე კუტალაძე; პროექტის კონსულტანტი: სოფიო დოლიძე.
5) *გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):*

პროექტის მიზანია აპლიკანტთა შეფასების მრავალფაქტორიანი ინსტრუმენტის შექმნა. შეფასების ახალმა მეთოდმა ხელი უნდა შეუწყოს პოლიციაში კვალიფიციური კადრების შერჩევას და, შესაბამისად, შერჩევის პროცედურის ვალიდობის ზრდას. შეფასების ინსტრუმენტი ეფუძნება პროექტის პოლიციელის კომპეტენციების ჩარჩოს, რომელიც იგივე ჯგუფის მიერ შემუშავდა 2020 წელს. შეფასების ინსტრუმენტი მომზადდა ტესტის კლასიკური თეორიისა (CTT) და დავალებაზე პასუხის თეორიაზე (IRT) დაყრდნობით. მომზადდა ინსტრუმენტის თეორიული ჩარჩო, გაზომვის პრაქტიკის ანალიზი თითოეული მახასიათებლისთვის და ტესტის სპეციფიკაცია. შეიქმნა შეკითხვების ბანკი, რომელმაც გაიარა ექსპერტული შეფასება და შინაარსობრივი ვალიდაციის პროცედურები. პიროვნული მახასიათებლების ნაწილი გამოიცადა 3000-მდე რესპონდენტზე. განისაზღვრა კითხვარების ფაქტორული სტრუქტურა, შეფასდა ფსიქომეტრული პარამეტრები.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. 6 თვიდან 6 წლამდე ბავშვის განვითარების მდგომარეობის შესაფასებელი ტესტის (E-T 6-6-R Entwicklungstest für Kinder von 6 Monaten bis 6 Jahren ß Revision. Petermann F. & Macha, T.) 2013 Frankfurt/M.: Pearson Assessment) ადაპტირებული, სტანდარტიზებული ქართული ვერსიის შემუშავება. sოციალური მეცნიერებები/ფსიქოლოგია.

2. სქესობრივი განათლება: მოსახლეობის ინფორმირებულობის, განწყობებისა და დამოკიდებულებების კვლევა. დონორი: შვედეთის სექსუალური განათლების ასოციაციის (RFSU);

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები:

1. 2019 წ.
2. 2020-2021წწ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით):

1. ლუიზა არუთინოვა - პროექტის კოორდინატორი; თეონა ლოდია - მკვლევარი/ძირითადი პერსონალი; სოფიო დოლიძე - მკვლევარი/ძირითადი პერსონალი; ივანე მინდაძე - მთარგმნელი.
2. პროექტის კოორდინატორები: იამზე კუტალაძე, სოფიო დოლიძე

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია(ქართულ ენაზე):

1. კვლევითი პროექტის ფარგლებში შეიქმნა ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების მრავალხრივი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ადაპტირებული და ნორმირებულია ქართულ პოპულაციაზე 6 ასაკობრივი ჯგუფისთვის (2 წლიდან 6 წლამდე). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 2-დან 6-წლამდე ასაკის 433-მა ბავშვმა და მათმა მშობლებმა. მათგან 213 გოგონა იყო, ხოლო 220 ბიჭი. მომზადდა ინსტრუმენტის ადმინისტრირების ქართული სახელმძღვანელო.

2. პროექტის – „სქესობრივი განათლება: მოსახლეობის ინფორმირებულობის, განწყობებისა და დამოკიდებულებების კვლევა“ – მიზანია სქესობრივი განათლების საკითხებში საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობისა და სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულების შესწავლა, იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც განსაზღვრავს სქესობრივი განათლებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებებსა და განწყობებს. კვლევა ეყრდნობა თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდოლოგიას. საზოგადოების დამოკიდებულების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ოჯახი, სამოქალაქო სექტორი, რელიგიური და სხვა ინსტიტუტები თამაშობს, შესაბამისად, კვლევამ მოიცვა ყველა ეს სამიზნე პოპულაცია. ახალგაზრდა თაობის ინფორმირებულობაში, მის მიერ საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერებაში სასკოლო განათლების კრიტიკული როლის გათვალისწინებით, დოკუმენტაციის ანალიზის მეთოდის გამოყენებით გაანალიზდა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლების სპეციფიკის განმსაზღვრელი ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტია. თვისობრივი კვლევის ანგარიშში ფართო ინფორმაციაა წარმოდგენილი სასკოლო განათლების მნიშვნელოვანი „აქტორების“ დამოკიდებულებებისა და განწყობების შესახებ, რომელთაც ცენტრალური როლი უნდა შეასრულონ მომავალი თაობისთვის სწორი, მეცნიერულად დადასტურებული და ადეკვატური ინფორმაციის მიწოდებაში. ანგარიში მოიცავს საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვასაც („სქესობრივი განათლება სკოლაში: საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა“).

თვისობრივი კვლევის ანგარიშის საფუძველზე მომზადდა სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულებების საკვლევი კითხვარი. კითხვარის საბოლოო ვერსიის კონსტრუირებაში მონაწილეობდნენ დარგის ექსპერტები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. კითხვარი, დემოგრაფიული ბლოკის გარდა, მოიცავს სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობის, მის მიმართ დამოკიდებულებების და შესაბამისი ქცევითი კომპონენტის შესაფასებელ ბლოკებს და 90 დებულებისგან შედგება. სქესობრივი განათლების მიმართ განწყობებში ეთნიკური ჭრილის შესასწავლად კითხვარი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით ჩატარდა გამოკითხვა საქართველოს მასშტაბით 1730 ადამიანზე როგორც დედაქალაქში, ისე 12 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. შეიქმნა მონაცემთა ბაზა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონაცემების დამუშავება. კვლევის კომპლექსური ანგარიში მზად იქნება 31.12.2021.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი:

1. სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გრანტი. გრანტის №DP2016_16; პროექტის სახელწოდება: ,,კვლევები პოზიტიური ფსიქოლოგიაში"; სოციალური მეცნიერებები; ფსიქოლოგია;
2. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტი, გრანტის NYS-2016-8. როექტის სახელწოდება: "მე და საზოგადოება: პერსონალური და მასტერ ნარატივები და სოციალური ადაპტაცია", სოციალური მეცნიერებები, ფსიქოლოგია;
3. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის (Joint Rustaveli-DAAD-fellowship programme, 2021) funding 57551607 () - 0000 პოსტ დოკ სტიპენდია" ქართველი მიგრანტები გერმანიაში: ურთიერთობები ჯგუფში და ჯგუფთაშორის - კონფლიქტი, აღქმა და დამოკიდებულებები".

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2016-2020
2. 2016-2020
3. 1/06/2021 – 29/11/2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის ხელმძღვანელი - მესტვირიშვილი მაია. კვლევრები: მარწყვიშვილი ხათუნა ფანჯიკიძე მარიამ

2. პროექტის ხელმძღვანელი - ლილი ხეჩუაშვილი. კვლევის სისტენტები: მარიამ გოგიჩაიშვილი, გიორგი ჭუმბურიძე.
3. მკვლევარი - ეკატერინე ფირცხალავა.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა.

1. ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების შექმნა სტუდენტებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში E-PSY (617980-EPP-1-2020-1-GE-EPPKA2-CBHE-SP) ERASMUS + Programme სოციალური მეცნიერებები/ფსიქოლოგია

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2021-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. თეონა ლოდია - პროექტის კოორდინატორი კონსორციუმის წევრი პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკულიშედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. https://epsy.ge/ka/news/6

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. REPORT Impact study of COVID-19 on older people and caregivers in the South Caucasus November 2020. Austrian and Swiss RC, IFRC and UNFPA. კოორდინატორი საქართველოში, ანგარიშის თაანავტორი: O. Krylova, Co-authors: L. Gevorgyan for Armenia, A. Balayeva for Azerbaijan, **E. Pirtskhalava** for Georgia

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2020-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ფირცხალავა ეკატერინე - კოორდინატორი საქართველოში

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. ლილი ხეჩუაშვილი

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. "ცხოვრების ისტორია და ტრანსფორმაციული გამოცდილებები. დროში განფენილი ჩემი ამბავი: მე, შენ და სხვები", ISBN 978-9941-13-976-5 (PDF)

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, თსუ გამომცემლობა

4) გვერდების რაოდენობა
1. 345

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომი სამ ნაწილად გაერთიანებული ცხრა თავისგან შედგება. პირველი ნაწილი თეორიულ ჩარჩოს ეთმობა და ჩემ მიერ გამოყენებულ ყველა ძირითად ცნებას, კონსტრუქტსა და მიდგომას მოიცავს. პირველ თავში ორ ძირითად ცნებას მიმოვიხილავ. ესაა პიროვნება, როგორც მას მაკადამსი ხედავს სამმაგი ას მოდელის სახით, და იდენტობა, როგორც ინდვიდის მიერ სოციოკულტურულ გარემოსთან ინტერაქციის პროცესში კონსტრუირებული ერთიანობა. მეორე თავში მოკლედ არის მიმოხილული ნარატივი, როგორც იდენტობისა და პიროვნების განვითარების პროცესი და პროდუქტი. მესამე თავი ნარატიული კვლევის მეთოდოლოგიის აღწერას ეთმობა და განხილულია ნარატივის, როგორც მეთოდოლოგიური მიდგომის, კვლევაში გამოყენების საკითხები. კერძოდ, გამოყოფილი და აღწერილია ოთხი ძირითადი ასპექტი: ნარატიული კითხვების დასმა, ნარატივის მისაღებად მოწოდებული ინსტრუქციების შექმნა, ნარატივების შეგროვება და ნარატივების კოდირება. აქვე უნდა ვთქვა, რომ ნაშრომის ეს თავი ერთგვარი პრაქტიკუ-ლი გზამკვლევიცაა დამწყები მკვლევრებისთვის.

მეორე ნაწილში გაერთიანებულ სამ თავში ცხოვრების ისტორიების თხრობის უწყვეტ პროცესზე ვისაუბრებთ. მიმოვიხილავთ, როგორ, როდის და რატომ ვიწყებთ საკუთარი თავის შესახებ ამბის თხრობას და როგორ ვახერხებთ იმას, რომ მუდმივად ცვალებად გარემოში ვიზრდებოდეთ, ვვითარდებოდეთ, ვიცვლებოდეთ და, ამავდროულად, უწყვეტობისა და უცვლელობის განცდას ვინარჩუნებდეთ. მეოთხე თავში მოკლედ აღვწერთ იმ გარემოს, რომელშიც ინდივიდის იდენტობა ვითარდება. შემდეგ განვიხილავთ თხრობის, როგორც საკუთარი თავის ანუ ნარატიული იდენტობის, შექმნის პროცესს, რომელიც სხეულის, გონებისა და საზოგადოების დონეზე მიმდინარეობს. ასევე,

მიმოვიხილავთ ნარატივის თხრობის პროცესსა და სტრუქტურასთან დაკავშირებულ ცვლადებს. მეხუთე თავი ნარატიული იდენტობის სტაბილობისა და ცვალებადობის საკითხს ეძღვნება. მასში მოკლედ არის ასახული ნარატივის კომპონენტების ცვლილების დინამიკა. მეექვსე თავი ნარატიული იდენტობისა და ისეთი ტრანსფორმაციული გამოცდილებების ურთიერთმიმართებას შეეხება, როგორებიცაა იძულებით ადგილნაცვალობა საომარი მოქმედებების შემდეგ, ქამინგაუთი [1] არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების ცხოვრებაში და პენიტენციალურ სისტემაში ყოფნის გამოცდილება ყოფილი პატიმრებისთვის.

მესამე ნაწილი პიროვნებისა და კულტურის კომპლექსური ურთიერთქმედების კონტექსტში ტრანსფორმაციების ამბებს შეეხება. შესაბამისად, მეშვიდე და მერვე თავში მაკლინისა და საიედის (2016) მასტერნარატივის ინტეგრაციულ ჩარჩოს მიმოვიხილავთ. გავეცნობით მის განმსაზღვრელ კრიტერიუმებსა და ნაირსახეობებს, შემდეგ კი ალტერნატიული ნარატივის ცნებასა და ალტერნატიული ნარატივის მრავალფეროვნების საკითხს შევეხებით. მეცხრე თავი მასტერ და ალტერნატიული ნარატივებისა და გენერაციულობის, როგორც სოციუმში ინტეგრირებული პიროვნების ინდივიდუალური მახასიათებლების, ურთიერთმიმართებას ეძღვნება. კერძოდ, ჯერ გენერაციულობის ცნებასა და გენერაციული მოზრდილისთვის დამახასიათებელი თხრობის კრიტერიუმებს შევეხებით, შემდეგ კი ტრანსფორმაციული გამოცდილების შედეგად მიღწეული პოსტტრავმული ზრდის, ალტერნატიული მასტერნარატივისა და გენერაციულობის ურთიერთმიმართებაზე ვისაუბრებთ.

5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1. ლილი ხეჩუაშვილი

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. “პიროვნება: შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში”, ISBN 978-9941-491-57-3

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, თსუ გამომცემლობა

4) გვერდების რაოდენობა
1. 890

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი პერსონოლოგიას, როგორც პიროვნების შესახებ მეცნიერებას, მის რაობასა და ფორმირებას ეხება. ასევე, გაეცნობით პიროვნების ანალიზის დონეებსა და კვლევის სტრატეგიებს, მეთოდებს, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს.

მეორე ნაწილი კულტურისა და სოციალური დასწავლის შესახებ მოგითხრობთ. აქ გაეცნობით ამერიკულ ბიჰევიორისტულ ტრადიციას, პავლოვიდან და თორნდაიკიდან მოყოლებული - ვიდრე უოტსონსა და ბიჰევიორიზმის ფორმალურ დაბადებამდე. ასევე,

წაიკითხავთ სკინერისა და მისი რადიკალური ბიჰევიორიზმის შესახებ; იმის შესახებ, თუ რამდენად არის ადამიანის ქცევა მისი წინმსწრები პირობებითა და თანმდევი შედეგებით განპირობებული. გაიცნობთ ალბერტ ბანდურას და მის მიერ შექმნილ სოციალურ-კოგნიტიური დასწავლის თეორიას, რომელიც დღესდღეობით ყველაზე ცნობილი და ფართოდ გამოყენებადი თეორიაა პიროვნების (და არა მარტო პიროვნების) ფსიქოლოგიაში. ნახავთ, თუ როგორ ურთიერთქმედებენ და ზემოქმედებენ ერთმანეთზე ადამიანის პიროვნება, ქცევა და გარემო, რა გავლენა აქვს ქცევაზე მის სოციალურ ეკოლოგიას და მიკრო და მაკროკონტექსტებს.

მესამე ნაწილი პიროვნებისადმი დისპოზიციურ მიდგომას და ნიშნებით ქცევის წინასწარმეტყველების საკითხებს ეძღვნება. აქ გაეცნობით პიროვნების ნიშნებით აღწერის კონცეფციას, ძირითად ცნებებსა და თემებს, რომლებიც ნიშნების თეორეტიკოსების შესწავლის საგანია. ამ ნაწილში ოთხ თეორიას ნახავთ. წარმოგიდგენთ გორდონ ოლპორტსა და მის ინდივიდუალობის ფსიქოლოგიას; მეცნიერს, რომელმაც პიროვნების ფსიქოლოგიას ხანგრძლივი სამოქმედო გეგმა დაუსახა თავისი ეპოქალური ნაშრომით „პიროვნება — ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია“ (1937), რომელიც პიროვნების ფსიქოლოგიის კურსისთვის დაწერილი სახელმძღვანელო იყო. საინტერესოა, რომ ოლპორტი იყო პირველი ფსიქოლოგი, რომელმაც აშშ-ში პიროვნების ფსიქოლოგიის კურსის წაკითხვა დაიწყო უნივერსიტეტში. ოლპორტის პარალელურად მოღვაწეობდნენ რაიმონდ კეტელი, რომელსაც ნიშნების ფაქტორული თეორია ეკუთვნის, და ჰანს აიზენკი, რომელიც ნიშნების ბიოლოგიური სამფაქტორიანი თეორიით არის ცნობილი. კეტელისა და აიზენკის თეორიები მათში სტატისტიკური აპარატის, კერძოდ, ფაქტორული ანალიზის ინტენსიურად გამოყენებით გამოირჩევა. ასევე, ფაქტორული ანალიზის შედეგად მიღებულ ფაქტორებსა და მის მდგენელებს ეხება ხუთფაქტორიანი მოდელი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში იქმნებოდა მეოცე საუკუნეში და დღეისათვის ნიშნების მიდგომის წამყვანი კონცეფციაა.

მეოთხე ნაწილი ზოგიერთ იმ თეორიასა და ავტორს აერთიანებს, რომლებიც აქცენტს პიროვნების მოტივაციასა და მიზნებზე სვამენ. აქ შეხვდებით ზიგმუნდ ფროიდსა და მის კლასიკურ ფსიქოანალიზს, რომელმაც, ფაქტობრივად, თავდაყირა დააყენა მთელი დასავლურ ევროპული მეცნიერული აზრი და ბიგძი მისცა უამრავი ახალი იდეის გაჩენას. ასევე, გაეცნობით, ჰენრი მარეის პერსონოლოგიას და მის უაღრესად საინტერესო და ეპოქალურ ნაშრომს „პიროვნების კვლევა“ (1938), რომელშიც მან გამოიყენა ტერმინი „პერსონოლოგია“ პიროვნების ინტერდისციპლინური შესწავლის აუცილებლობის აღსანიშნად. ამ ნაწილში წარმოგიდგენთ კურტ ლევინის ყველასგან განსხვავებულ ველის ტოპოლოგიურ თეორიას, რომელსაც ცხოვრებისეული სივრცის კვლევასაც უწოდებენ. ეს არის პიროვნებისა და მისი ქმედებების ვიზუალიზების ორიგინალური მცდელობა, რომელიც ძალზე საინტერესოდ გამოიყურება სხვა თეორიების კონტექსტში. აქვე წაიკითხავთ ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლის, კარლ როჯერსისა და პიროვნებაზე ცენტრირებული მისი მიდგომის შესახებ: მან ადამიანი აბსოლუტურად განსხვავებულად დაინახა; მიგვითითა, რომ ადამიანი ზრდისკენ, განვითარებისა და სრულყოფისკენ მავალი, იმთავითვე პოზიტიური არსებაა. ბოლოს გაეცნობით ჯორჯ კელის პიროვნული კონსტრუქტების თეორიასა და ამ კონსტრუქტების გასაზომ ერთ-ერთ მეთოდიკას, რომელიც ძალზე საინტერესო და პრაქტიკულად ღირებული აღმოჩნდა.

მეხუთე ნაწილი ორ თეორიას აერთიანებს, რომლებიც პიროვნების განვითარების მოდელზე სვამს აქცენტს. ეს არის ერიკ ერიკსონის ფსიქოსოციალური განვითარების თეორია, რომელიც პიროვნების განვითარების რვა უნივერსალურ სტადიასა და მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტ განვითარებაზე საუბრობს; მას შემოაქვს პიროვნების განვითარებაში სოციალური გარემოსა და კულტურის როლი; თითოეული სტადიის წარმატებით თუ წარუმატებლობით გავლის შედეგად მიღებული შენაძენის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. აქვე უნდა ითქვას, რომ ერიკ ერიკსონი არის ის ფიგურა, რომლის სახელსა და ნაშრომებსაც უკავშირდება ფსიქოლოგიაში პერსონოლოგიური ტრადიციის (1958, 1963) გაცოცხლება. მეორე თეორია ჯეინ ლოვინგერს ეკუთვნის: ეს ეგოს განვითარების უაღრესად გავლენიანი თეორიაა და ეგოს ფორმირების სტადიურ მოდელსა და განვითარების გაზომვის მეთოდიკას გვთავაზობს.
წიგნის მეექვსე და ბოლო ნაწილი პიროვნებისადმი ნარატიულ მიდგომას ეძღვნება, რაც ჩვენ მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზის აღწერას, ანალიზსა და ინტერპრეტაციას გულისხმობს. ამ ნაწილში გაეცნობით პიროვნებისადმი ნარატიული მიდგომის რაობას, ძირითად ამოცანებს, პრინციპებს, კრიტერიუმებსა და ისეთ წამყვან თეორიებს, როგორებიცაა ტომკინსის სკრიპტის თეორია, ჰერმანსის დიალოგური ,,მე“ და მაკადამსის ხუთმდგენელიანი მიდგომა პიროვნებისადმი. ასევე, გიამბობთ ნარატივის ანუ ცხოვრების ისტორიების ინტერპრეტაციებისა და ნარატიული ინტერვიუს მეთოდიკის შესახებ. გარდა ამისა, წარმოგიდგენთ ადამიანის ცხოვრების ისტორიის ფროიდისეულ, იუნგიანურ და ადლერისეულ ინტერპრეტაციებს. დასასრულ, მოკლედ მოგითხრობთ მარეის ჰარვარდის ფსიქოლოგიური კლინიკის, პერსონოლოგიისა და ცალკეულ შემთხვევათა ურთიერთმიმართების შესახებ.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ფირცხალავა ეკატერინე
2. თეონა ლოდია
3. იამზე კუტალაძე, სოფიო დოლიძე
4. ლალი სურმანიძე

2) სტატიის სათაური, ISSN
1. ქართველი მიგრანტები საფრანგეთში: ჯგუფის შიგნით (ინტრაჯგუფური) და ჯგუფთაშორის (ინტერჯგუფური) ურთიერთობების აღქმა და შეფასებები.
2. ფსიქოლოგიური მოუქნელობის კავშირი დეპრესიისა და აგრესიის მახასიათებლებთან. ISSN 2667–9027.
3. დისტანციურად მუშაობა: დასაქმებულთა განწყობების ანალიზი. ISSN 1512-1801
4. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია - სხვა ფლანგიდან დანახული, ISSN 2667-9027

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. ქესჟ :განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია 2021 N1 (58) გვ 77-91
2. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი. 2021 N1 (გვ. 59-70)

3. ქესჟ :განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია 2021 N1 (58) გვ. 92-114
4. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი. 2021 N1(გვ. 183-207)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, ელექტრონული მედიიდ რედაქცია
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
3. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, ელექტრონული მედიიდ რედაქცია
4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა
1. 14. გვ.
2. 13გვ.
3. 22 გვ.
4. 25 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. **ფსიქოლოგიური მოუქნელობის კავშირი დეპრესიისა და აგრესიის მახასიათებლებთან.** ფსიქოლოგიური მოუქნელობა, რომელიც მიღებისა და მოქმედების თერაპიის ძირეული კომპონენტია, ფსიქოპათოლოგიების განვითარების მთავარ ასპექტად მიიჩნევა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და ადაპტაციაში ხელისშემშლელ ისეთ მდგომარეობებს შორის კავშირის დადგენას, როგორებიცაა დეპრესია და აგრესია. კვლევა ჩატარდა ქართულ პოპულაციაზე. მასში მონაწილეობას იღებდა, 14-დან 16-წლამდე 157 მოზარდი თბილისის საჯარო სკოლებიდან. მათ შორის 81 იყო ვაჟი, ხოლო 76 გოგონა. კორელაციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა ძლიერი დადებითი კავშირი დეპრესიასა და ფსიქოლოგიური მოუქნელობას შორის (r=.68) ყველა ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფში. ძლიერი დადებითი კავშირი გამოვლინდა აგრესიასა და ფსიქოლოგიურ მოუქნელობას შორის (r=.59). ამასთანავე, ფსიქოლოგიურ მოუქნელობას აქვს მედიატორის როლი დეპრესიასა და აგრესიას შორის არსებულ კავშირში. ფსიქოლოგიურ მოუქნელობას, დეპრესიასა და აგრესიას შორის არსებული მიმართებების დადგენა საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ადაპტაციისთვის ხელისშემშლელი მდგომარეობების ძირეული ასპექტები და თერაპიული მეთოდების დანერგვით მოზარდებს დავეხმაროთ ემოციური დისრეგულაციების დაძლევაში.
საკვანძო სიტყვები: ფსიქოლოგიური მოუქნელობა, დეპრესია, აგრესია, მიღებისა და მოქმედების თერაპია, ფსიქოლოგიური მოქნილობა.

3. **დისტანციურად მუშაობა: დასაქმებულთა განწყობების ანალიზი**
ათეული წლებია დისტანციურ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინტერესის საგანს წარმოადგენს. COVID-19

პანდემიის პირობებში ეს საკითხი უაღრესად აქტუალური გახდა – განსაკუთრებული ინტენსივობით განახლდა დისტანციურად მუშაობის ინდივიუალური და ორგანიზაციული ეფექტების, ასევე დისტანციურად მუშაობის მიმართ დასაქმებულთა განწყობების კვლევა. წინამდებარე სტატია ასახავს დისტანციურად მუშაობის შესახებ თვისებრივი კვლევის შედეგებს. მასში აღწერილია დასაქმებულთა განწყობები დისტანციურად მუშაობის მიმართ. ნაცადია იმ კონტექსტუალური ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც განსაზღვრავს დისტანციურად მუშაობის მიმართ პოზიტიური განწყობების ფორმირებასა და მის ეფექტიანობას. განხილულია დისტანციურ მუშაობასთან ასოცირებული ისეთი პრობლემები, როგორებიცაა რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ცვლილებებისადმი ადაპტაცია, სამუშაოს ინტენსიფიკაცია და დროის მართვა, მწირი კომუნიკაცია, სამუშაო-პირადი ცხოვრების ბალანსი, ორგანიზაციული მხარდაჭერა და სხვა. თვისებრივი კვლევა მოიცავს სამ ფოკუსჯგუფსა და შვიდ ინტრევიუს. კვლევისთვის შეირჩა საჯარო სექტორში მენეჯერულ და არამენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული 37 ადამიანი, მათ შორის რეგიონებიდანაც. საკვლევი მოვლენის სიღრმისეული ანალიზისა და კვლევის შედეგების ფართო კონტექსტში წარმოდგენისთვის, სტატიაში განსაკუთრებული აქცენტი დისტანციურ მუშაობაზე ჩატარებული უახლესი კვლევების მიმოხილვაზე კეთდება.

საკვანძო სიტყვები: დისტანციურად მუშაობა, რესუსებზე ხელმისაწვდომობა, ორგანიზაციული ცვლილებები, ორგანიზაციული მხარდაჭერა, კომუნიკაცია, სამუშაოს შესრულება, სამუშაო-პირადი ცხოვრების ბალანსი.

4. ფსიქოლოგიისა და ანთროპოლოგიის გათიშულობას ჯერომ ბრუნერი „ადამიანის შემსწავლელი მეცნიერების ყველაზე დიდ შეცდომად“ მიიჩნევდა. ფრაგმენტული მცდელობების მიუხედავად, ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში ფსიქოლოგებსა და ანთროპოლოგებს შორის რეალური თანამშრომლობა ჯერაც არ დამყარებულა. ამ სფეროს ხედვა სუბდისციპლინად კვლავაც ტოვებს ბარიერს ფსიქოლოგებისა და ანთროპოლოგების აქტიური თანამშრომლობისთვის სინთეზური ინტელექტუალური პროდუქტის შექმნის გზაზე. ერთის მხრივ, კონცეპტუალური და ეპისტემოლოგიური დილემების, დიქოტომიათა ანტითეზურად ხედვების დაძლევის ამოცანა, მეორეს მხრივ, რეალური ემპირიულ-კვლევითი პრაქტიკის მკაფიო ორიენტაცია მეთოდთა ურთიერთშემავსებლად და ჰიბრიდულ გამოყენებაზე თანამედროვე ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიას იმ სფეროთა რიგში სვამს, რომელთა მიზანი დაპირისპირებულ რეალობათა გამთლიანება, მათი კომპლექსური ინტერაქციის და თანაარსებობის აღიარებაზე დაყრდნობით, ერთ-ერთი ფუნდამენტური ამოცანაა. ეს არ არის სუბდისციპლინის ამოცანები. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია დღეს თვითრეფლექსიის, კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური გადააზრების, სინთეზურად გადასაწყვეტი ამოცანების წინაშე დგას. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია - ეს სივრცეა, სადაც იკვეთება თავიანთი შემმეცნებელი პოტენციალით მდიდარი და ურთულესი დილემები, თანაბრად აქტუალური ფსიქოლოგიისთვისაც და ანთროპოლოგიისთვისაც, და სადაც ერთმანეთს ხვდება მრავალფეროვანი მეთოდოლოგიური რესურსი. თავისი არსით, ის მეცნიერებათა (ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, სოციალური, ქცევითი) გადაკვეთაზე მყოფი ინტერდისციპლინური სივრცეა, რომელიც, იმავდროულად, შეიძლება აღმოჩნდეს

ნაყოფიერი ნიადაგი ადამიანის შესახებ ტრანსდისციპლინური თეორიის ჩამოყალიბებისთვის.
საკვანძო სიტყვები: ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია, კულტურული ფსიქოლოგია, კონცეპტუალური და ეპისტემოლოგიური დილემები, მეთოდოლოგია, ინტერდისციპლინური.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. Martskvishvili, Kh., Panjikidze, M., Kamushadze, T., Garuchava, N., Dozois, D. (2021).
2. Martskvishvili, Kh., Laghidze, N. (2021)
3. Kamushadze, T., & Martskvishvili, Kh. (2021)
4. Benedek, M., Karstendiek, M., Ceh, M, Grabner,R., Krammer, G., Lebuda, I., Silvia, P, N. Cotter, C., Li, Y., Hu, W., Martskvishvili, Kh., Kaufman, J. (2021)
5. Kamushadze, T. Martskvishvili, Kh. Mestvirishvili, M., Odilavadze, M. (2021).
6. თ. ქამუშაძე, ხ. მარწყვიშვილი (2021).
7. Sordia, N., & Martskvishvili, Kh
8. Mestvirishvili, M., & Mestvirishvili, N. (2021)
9. მზია წერეთელი, ია აფთარაშვილი, ნანუკი ალიბეგაშვილი, ნატო ასათიანი (2021)
10. ნატა ასათიანი, მზია წერეთელი (2021)
11. ნატა ასათიანი, მზია წერეთელი (2021)
12. Makharadze, T., Abashidze, T. (2021)
13. Kitiashvili, A., Abashidze, T., & Zhvania, Kh. in press.
14. Labartkava, N., Saginadze, T (2021)
15. Bandzeladze,T., Arutiunov, L. , Pablo Espinosa (2019)
16. BANDZELADZE T, ARUTIUNOV L. (2020)
17. Gagoshidze T., with H. Cross, G. Lomidze, S. Kasradze (2021)
18. Smith, P. B., Easterbrook, M. J., Koc, Y., Lun, V. M. C., Papastylianou, D., Grigoryan, L., Gamsakhurdia, VL,... & Chobthamkit, P.
19. Krys, K., Yeung, J. C., Capaldi, C. A., Lun, V. M. C., Torres, C., van Tilburg, W. A., Gamsakhurdia, VL, ... & Vignoles, V. L.
20. Krys, K., Park, J., Kocimska-Zych, A., Kosiarczyk, A., Selim, H. A., Wojtczuk-Turek, A., Gamakhurdia, VL., ... & Adamovic, M.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Measuring the thinking styles: Psychometric properties of the Georgian version of the Cognitive Distortion Scale“. The Journal of Cognitive Psychotherapy (ბეჭდვის პროცესში).
2. Martskvishvili, Kh., Laghidze, N.
3. Character Strength at Its Worst and Best: Mediating Effect of Coping Strategies. https://doi.org/10.1007/s43076-021-00085-z

4. Creativity myths: Prevalence and correlates of misconceptions on creativity. https://doi.org/10.1016/j.paid.2021.111068
5. Does Perfectionism Lead to Well-Being? The Role of Flow and Personality Traits. https://doi.org/10.5964/ejop.1987
6. ხასიათის სიმტკიცეები როგორც ფსიქოპათოლოგიის ამხსნელი მოდელი
7. Creative self-concept and rejection sensitivity: The role of expected and received feedback in creativity
8. Self-control and Self-consciousness: Regulation or Acceleration of Self-discrepancy Distress? Polish Psychological Bulletin,https://doi.org/10.24425/ppb.2021.136814
9. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის, მოსწავლეთა სასწავლო მიზნებისა და მეტაკოგნიციის გავლენა აკადემიურ მოსწრებაზე, ISSN 1512-1801
10. ბულინგი ფსიქოლოგიური თეორიების ჭრილში, ISSN 1512-1801
11. სამართლიანობა თუ თანასწორობა საკლასო ოთახში, ISSN 2667-9698 (online)
12. Corporate Social Responsibility and Employer Attractiveness; An International Perspective – Georgia (Chapter 9); ISSN 2196-7075; https://link.springer.com/book/9783030688608
13. Attitudes and Stereotypes of Young People towards Elderly Population: how Significant is their Perception of Difference and Distance from Older People?
14. Piloting supportive ways to effectively implement school readiness program on the example of Tbilisi kindergartens. e-ISSN: 2544-9435. https://rsglobal.pl/index.php/ijitss/article/view/1993
15. El papel de los factores familiares y la autorregulación: problemas de comportamiento en adolescentes de Georgia. ISSN: 1138-1663.http://revistas.udc.es/index.php/reipe/article/view/reipe.2019.6.2.5775
16. Peer pressure and adolescents' problem behavior DOI: https://dx.doi.org/10.26500/JARSSH-05-2020-010
17. A 6-year longitudinal study of neurocognitive problems in children with epilepsy. DOI: 10.1016/j.braindev.2021.03.007
18. ღირსებაზე, პატივისა და სახეზე ხაზგასმა უფრო ინდივიდუალურია თუ კულტურული ჯგუფების ატრიბუტი? Is an emphasis on dignity, honor and face more an attribute of individuals or of cultural groups?
19. სოციალური ემოციური გარემო და კულტურული განსხვავებები ცხოვრებით კმაყოფილებაში: ორმოცდაცხრა ქვეყნის კვლევა / Societal emotional environments and cross-cultural differences in life satisfaction: A forty-nine country study
20. პირადი ცხოვრებით კმაყოფილება, როგორც სოციალური ბედნიერების საზომი, არის ინდივიდუალისტური ვარაუდი: მტკიცებულება ორმოცდაათი ქვეყნიდან / Personal life satisfaction as a measure of societal happiness is an individualistic presumption: evidence from fifty countries.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. The Journal of Cognitive Psychotherapy (ბეჭდვის პროცესში).
2. Psychological thought (ბეჭდვის პროცესში).
3. Trends in Psychology, 29(4), 655–669

4. Personality and Individual Differences, 182.
5. Europe's Journal of Psychology , 17(2). 43-57.
6. განათლების მეცნიერებები და ფსიქოლოგია | No.1(58) , pp. 44-49
7. Journal of Individual Differences (in press)
8. Polish Psychological Bulletin (pp. 31–39).
9. GESJ: განათლების მეცნიერებები და ფსიქიოლოგია #1 (58), 132-150
10. GESJ: განათლების მეცნიერებები და ფსიქიოლოგია #1 (58), 3-11
11. ჟურნალი განათლების მეცნიერება, ტ2. #2
12. Series Title CSR, Sustainability, Ethics & Governance; Book Title Corporate Social Responsibility and Employer Attractiveness; Editors Silke Bustamante, Fabio Pizzutilo, Martina Martinovic, Susana Herrero Olarte
13. Psihologijske Teme
14. International Journal of Innovative Technologies in Social Science No 2(30) (2021)
15. The Journal of Studies and Research in Psychology and Education, 6(2), 146-155, 2019
16. Journal of Advanced Research in Social Sciences and Humanities Volume 5, Issue 1 (31-37)
17. Brain and Development, 2021
18. კროსკულტურული კვლევა
19. პოზიტიური ფსიქოლოგიის ჟურნალი
20. ბედნიერების კვლევების ჟურნალი

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Springer Publishing
2. PsychOpen
3. Springer
4. Elsevier
5. PsychOpen
6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
7. Hogrefe Publishing Group
8. Committee for Psychological Science PAS
9. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
10. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
11. სიიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

Springer International Publishing

15. EDITORIAL: Servicio de Publicaciones de la Universidade da Coruña Campus de Elviña, 15008 A Coruña - España
16. South Kalimantan, Indonesia (1), 31-36 DOI:https://dx.doi.org/10. 26500/JARSSH05-2020-0104
17. The Japanese Society of Child Neurology. Published by Elsevier.
18. Sage Publications
19. Routledge
20. Springer

5) გვერდების რაოდენობა

1. 20
2. 15
3. 15
4. 11
5. 14
6. 5
7. 15
8. 8
9. 19
10. 9
11. 10
12. 11
15. 10
16. 7
17. 12
18. 31
19. 14
20. 17

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. Martskvishvili, Kh., Panjikidze, M., Kamushadze, T., Garuchava, N., Dozois, D. (2021). Measuring the thinking styles: Psychometric properties of the Georgian version of the Cognitive Distortion Scale". The Journal of Cognitive Psychotherapy (in press).

   კვლევის მიზანს წარმოადგენს კოგნიტური შეცდომების საკვლევი კითხვარის (CDS; Covin, Dozois, Ogniewicz & Seeds, 2011) ქართული ვერსიის (G-CDS) ფსიქომეტრული მახასიათებლების შემოწმება. კოგნიტური შეცდომების საკვლევი კითხვარის ზომავს 10 სხვადასხვა კოგნიტურ შეცდომას სოციალური ურთიერთობებისა და მიღწევების სფეროში. ინსტრუმენტის სტანდარტიზაციაში მონაწილეობა მიიღო 941 ინდივიდმა შვიდი სხვადასხვა შერჩევიდან (მათ შორის კლინიკური შერჩევის 37 მონაწილე). კონფირმატორულმა დამადასტურებელმა ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა ათფაქტორიანი გადაწყვეტის მოდელის მორგების საუკეთესო მაჩვენებლები. G-CDS სკალების შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები მაღალია და კორელირებს თეორიულად ნავარაუდევ რელევანტურ კონსტრუქტებთან. მიუხედავად იმისა, რომ ქალებს უფრო მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ ერთ-ერთი კოგნიტური შეცდომის სკალაზე ("უნდა" განცხადებები), ვიდრე მამაკაცებს, სხვა გენდერული განსხვავებები არ გამოვლინდა. კლინიკურ და საკონტროლო ჯგუფს შორის ყველა კოგნიტური შეცდომის მიხედვით განსხვავება იყო სტატისტიკურად სანდო. ინსტრუმენტს ფსიქომეტრული მახასიათებლების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოგნიტური შეცდომების საკვლევი ინსტრუმენტის ქართულ ვერსიას, როგორც კლინიკური, ასევე, კვლევითი პოტენციალის მაღალი ხარისხი აქვს.

2. Martskvishvili, Kh., Laghidze, N. Well Being and Pandemic Lockdown: The Role of Emotional Intelligence, Self-compassion and Rumination. Psychological thought (in press).
   გარდა დესტრუქციული გლობალური ეკონომიკური და სოციალური გავლენისა, COVID-19 პანდემიამ და მისმა თანმდევმა შეზღუდვებმა ნეგატიური ფსიქოლოგიური შედეგებიც გამოიწვია მსოფლიოში. მოცემული კვლევა მიზნად ისახავს ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლას თვითიზოლაციის პირობებში, რომელიც პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ შემოღებული გლობალური შეზღუდვაა. კერძოდ, კვლევის მიზანია ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის, თვითთანაგრძნობისა და რუმინაციის როლის შესწავლა ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან მიმართებით. კვლევის შედეგების თანახმად, ემოციური ინტელექტი და თვითთანაგრძნობა პოზიტიურ, რუმინაცია კი - ნეგატიურ კორელაციაშია ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან. გარდა ამისა, თვითთანაგრძნობა ასრულებს მედიატორის როლს ემოციურ ინტელექტსა და კარგად ყოფნას შორის კავშირისთვის. ასევე, რუმინაციასა და კარგად ყოფნას შორის არსებულ კავშირზე გავლენას ახდენს ემოციური ინტელექტი და თვითთანაგრძნობა: კერძოდ, თვითთანაგრძნობა მედიატორის როლს ასრულებს დეპრესიასთან დაკავშირებულ რუმინაციასა და კარგად ყოფნას შორის, ხოლო ემოციური ინტელექტის ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა თვითკონტროლი და ემოციურობა, წარმოადგენენ მოდერატორებს რეფლექსიურ რუმინაციასა და კარგად ყოფნას შორის. მოცემული კვლევა ინფორმაციას გვაძლევს თვითთანაგრძნობაზე, რუმინაციასა და ემოციურ ინტელექტზე, როგორც ფაქტორებზე, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ინდივიდის კარგად ყოფნის განცდაში თვითიზოლაციის დროს. მიღებული შედეგები ღირებულ ინფორმაციას გვაძლევს ამ სტრატეგიების გამოყენებასთან დაკავშირებით თვითიზოლაციაში მყოფი ინდივიდების დასახმარებლად.

3. Kamushadze, T., & Martskvishvili, Kh. (2021). Character Strength at Its Worst and Best: Mediating Effect of Coping Strategies. Trends in Psychology, 29(4), 655–669. https://doi.org/10.1007/s43076-021-00085-z
   კვლევები პოზიტიურ ფსიქოლოგიაში ძირითადად ფოკუსირებულია ხასიათის სიმტკიცეთა (CSs) დადებით ასპექტებზე და მათ როლზე ადამიანის ოპტიმალურ ფუნქციონირებაში, რითაც ყურადღების მიღმა ტოვებს სიმტკიცეთა დისბალანსის მოდელს და მის გავლენას უარყოფით შედეგებზე. კვლევა მიზნად ისახავს სიმტკიცეთა არასაკმარისი/ჭარბი და ოპტიმალური გამოყენების კვლევას დაძლევის პოზიტიურ და უარყოფით სტრატეგიებთან მიმართებაში და იმის განსაზღვრას, თუ როგორ უკავშირდება სხვადასხვა ხარისხით გამოვლენი სიმტკიცეები ფსიქოლოგიურ მდგრადობასა და უარყოფით ემოციურ მდგომარეობას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 306 მონაწილემ (60% მამაკაცი) და გამოყენებული იყო სხვადასხვა ინსტრუმენტები ხასიათის სიმტკიცეთა ასპექტების, დაძლევის მექანიზმებისა და დადებითი და უარყოფითი ემოციური შედეგების შესაფასებლად: ხასიათის სიმტკიცეთა არასაკმარისი/ოპტიმალური გამოყენების საზომი ინსტრუმენტი; დაძლევის სტრატეგიების საკვლევი კითხვარი; მედეგობის საკვლევი მოკლე სკალა; დეპრესიის შფოთვის სტრესის სკალა. შედეგებმა აჩვენა, რომ ხასიათის სიმტკიცეთა არასაკმარისი და ჭარბი გამოყენება დადებითად არის დაკავშირებული დაძლევის უარყოფით სტრატეგიებთან და ნეგატიურ ემოციურ მდგომარეობებთან, ხოლო სიმტკიცეთა

ოპტიმალური გამოყენება დაკავშირებულია დაძლევის პოზიტიურ სტრატეგიებთან და მედეგობასთან. დაძლევის დადებითი და უარყოფითი სტრატეგიები ასრულებს მედიატორის როლს თამაშობს ამ კავშირში. შედეგები წარმოადგენს ხასიათის ბნელი მხარეების თეორიული მოდელის მხარდაჭერას იმის ჩვენებით, თუ როგორ შეესაბამება სიმტკიცეთა გამოვლენის ხარისხი კარგად ყოფნისა და დაძლევის სტრატეგიების დადებით ან უარყოფით ასპექტებს. კვლევაში მოცემულია ხასიათის სიმტკიცეთა და დადებითი და უარყოფითი შედეგების მიმართების ამხსნელი ახალი მექანიზმი.

4. Benedek, M., Karstendiek, M., Ceh, M, Grabner,R., Krammer, G., Lebuda, I., Silvia, P, N. Cotter, C., Li, Y., Hu, W., Martskvishvili, Kh., Kaufman, J. (2021). Creativity myths: Prevalence and correlates of misconceptions on creativity. Personality and Individual Differences, 182. https://doi.org/10.1016/j.paid.2021.111068
   მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად იზრდება შემოქმედებითობის კონსტრუქტის კომპლექსური ფენომენის მეცნიერული გაგება, მითები კრეატიულობის შესახებ მაინც განაგრძობს წვლილის შეტანას იმ იდუმალებით მოცულ, რომელიც ამ კონცეპტის გარშემო არსებობს. კვლევაში შესწავლილია შემოქმედებითობის შესახებ მითების გავრცელება ექვსი სხვადასხვა კულტურის მქონე ქვეყანაში და ნაკვლევია, რატომ სჯერა ზოგიერთ ადამიანს მითების უფრო მეტად, ვიდრე სხვებს. შედეგების თანახმად, გამოვლინდა თანმიმდევრული, ფართოდ გავრცელებული მიკერძოებული მოსაზრება შემოქმედებითობის კონცეპტის საზოგადოებრივ გაგებაში, როგორიცაა შემოქმედებითი მიღწევების მიკუთვნება სპონტანურობასა და შემთხვევითობისთვის და არა - მიზანმიმართულებისა და ექსპერტული ცოდნისათვის. კრეატიულობის შესახებ მითების უფრო მტკიცე რწმენა დაკავშირებული იყო განათლების დაბალ დონესთან, არასაიმედო წყაროებზე უფრო ძლიერ დამოკიდებულებასთან და პიროვნულ თვისებებთან, რომლებიც ასახავს საეჭვო ცნებების მიმღებლობისა და სხვების აზრზე დაყრდნობის სურვილს. დასკვნები ხაზს უსვამს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის უკეთესი კომუნიკაციის აუცილებლობას, რათა შესაძლებელი გახდეს კრეატიულობის უფრო ეფექტური მხარდაჭერა.

5. Kamushadze, T. Martskvishvili, Kh. Mestvirishvili, M., Odilavadze, M. (2021). Does Perfectionism Lead to Well-Being? The Role of Flow and Personality Traits. Europe's Journal of Psychology , 17(2). 43-57. https://doi.org/10.5964/ejop.1987
   პერფექციონიზმი წარმოადგენს პიროვნულ ნიშანს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდივიდის ქცევისა და ფუნქციონირების გაგებაში. მაშინ როდესაც, არსებული კვლევები ძირითად აქცენტს აკეთებს პერფექციონიზმის არაადაპტურ ასპექტებზე და მის ნეგატიურ შედეგებზე, ნაკლებია ცნობილი იმის შესახებ, თუ როგორ უკავშირდება პერფექციონიზმი პიროვნების ადაპტურ მახასიათებლებს და ნორმალურ ფუნქციონირებას. მოცემული კვლევის მიზანია პერფექციონიზმის სხვადასხვა ასპექტების დაკავშირება ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან და ამ კავშირში გამოცდილებაში ჩაძირვის და პიროვნული ნიშნების როლის განსაზღვრა. კვლევა შედგება ორი ნაწილისგან. კვლევის პირველ ნაწილში, მონაწილეები ავსებდნენ პერფექციონიზმის, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა და გამოცდილებაში ჩაძირვის კითხვარებს. კვლევის მეორე ნაწილში, დამატებით გამოვიყენეთ პიროვნული ნიშნების საზომი კითხვარი, რომელიც ეფუძნება პიროვნების HEXACO მოდელს. შედეგებმა

აჩვენა, რომ ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა დადებითად უკავშირდება კეთილსინდისიერ პერფექციონიზმს და უარყოფითად - თვით-შეფასებით პერფექციონიზმს. გამოცდილებაში ჩაძირვა წარმოადგენს გამაშუალებელ ფაქტორს ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას და კეთილსინდისიერ პერფექციონიზმს შორის. თვით-შეფასებით პერფექციონზმსა და გამოცდილებაში ჩაძირვას შორის კავშირი არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. გამოცდილებაში ჩაძირვა ინარჩუნებს მედიატორის როლს შესაბამისი პიროვნული ნიშნების კონტროლის ფონზეც, თუმცა კავშირი ხდება ნეგატიური. მიღებული შედეგები განხილულია პერფექციონიზმის მრავალასპექტიანობის ჭრილში და შემოთავაზებულია პერფექციონიზმის და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის კავშირის ამხსნელი ახალი მექანიზმი.

6. თ. ქამუშაძე, ხ. მარწყვიშვილი (2021). ხასიათის სიმტკიცეები როგორც ფსიქოპათოლოგიის ამხსნელი მოდელი // GESJ: განათლების მეცნიერებები და ფსიქოლოგია | No.1(58) , pp. 44-49
ხასიათის სიმტკიცეები წარმოადგენს შინაგანად შემავსებელ, უნივერსალურ პოზიტიურ მახასიათებლებს, რომლებიც ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა და ოპტიმალური ფუნქციონირების ცენტრალური კომპონენტია. თუმცა, ხასიათის სიმტკიცეების მოდელი წარმოადგენს არა მხოლოდ პიროვნების ნორმალური და ოპტიმალური ფუნქციონირების ახსნის გზას, არამედ გვთავაზობს ფსიქიკური აშლილობების გაგების ახლებურ ჩარჩოსაც. სტატიაში განხილულია ხასიათის სიმტკიცეების სამგანზომილებიანი მოდელი და ის ემპირიული კვლევები, რომლებიც ადასტურებს მოდელის სანდოობას. განხილულია ასევე ის სარგებელი, რომელიც მოდელის გამოყენებამ შესაძლოა მოიტანოს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაგების მიმართულებით
7. Sordia, N., & Martskvishvili, Kh. (in press). Creative self-concept and rejection sensitivity: The role of expected and received feedback in creativity. Journal of Individual Differences
შემოქმედებითი პოტენციალის ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზება, ორიგინალური იდეის გარშემომყოფებისთვის გაზიარება შეიცავს იმის რისკს, რომ შესაძლოა უარგვყონ. მოცემულ კვლევაში შევისწავლით შემოქმედებით პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირზე გავლენის მქონე ფაქტორებს. ვაინტერესებდა შემოქმედებითი თვითეფექტურობა და შემოქმედებითი პოროვნული იდენტობა, ერთი მხრივ, და უარყოფის შიში და ნეგატიური შეფასების შიში, მეორე მხრივ თუ ახდენს გავლენას შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების პროცესზე. ედეგებიდან ჩანს, რომ შემოქმედებით პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირი ძლიერია მაშინ, როცა შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანებს მაღალი ქულები აქვთ შემოქმედებითი პიროვნული იდენტობისა და უარყოფითი შეფასების შიშის სკალაზე.ხოლო შემოქმედებით პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირი აღარ არის მნიშვნელოვანი, როცა შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანს შემოქმედებითი თვიეფექტურობისა და უარყოფის მოლოდინის (უარყოფისადმი მგრძნობელობის ასპექტი) სკალაზე მაღალი ქულები აქვთ. განხილულია განსხვავებულ შედეგთა ახსნის განსხვავებული ვერსიები და მომავალი კვლევის იდეები.

8.სხვადასხვა ტიპის თვითგანსვლა ფსიქოლოგიურ დისკომფორტს უკავშირდება რაც ნეგატიურ ემოციურ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული. წარმოდგენილი კვლევა

ეხება თვით-განსვლის კავშირებს ისეთ ნეგატიურ ემოციურ მდგომარეობებთან, როგორებიცაა სტრესი, შფოთვა და დეპრესია. ამას გარდა, კვლევა ცდილობს აღმოაჩინოს სელფთან დაკავშირებული კონსტრუქტების (თვით-კონტროლი და თვითცნობიერება) გავლენა ამ კავშირებზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 638-მა მონაწილემ (40% კაცი / 60%ქალი), რომელთა ასაკიც 18 დან 65 წლამდე მერყეობდა. კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ ინსტრუმენტები, რომლებიც ზომავს განსვლას რეალურ/იდეალურ და რეალურ/სავალდებულო სელფს შორის, თვით-კონტროლს, პირად/საზოგადო თვითცნობიერებას და დეპრესიას, შფოთვას და სტრესს (DASS). შედეგებმა აჩვენა, რომ დაბალი თვით-კონტროლი და მაღალი საზოგადო თვითცნობიერება მნიშვნელოვნად წინასწარმეტყველებდა დეპრესიას, შფოთვას და სტრესს. ამასთან კვლევამ სხვა არაპირდაპირი კავშირებიც გამოავლინა: (1) სოციალური შფოთვა აღმოჩნდა მნიშვნელოვანი მედიატორი რეალურ/სავალდებულო სელფს შორი განსვლის და სტრესის კავშირისათვის (2) თვით-კონტროლი მოდერატორულ ფუნციას ასრულებს სტრესის და თვით-განსვლების მაჩვენებლებისათვის კავშირებში (3) თვით-კონტროლი აღმოჩნდა მოდერატორი დეპრესიას და თვით-განსვლების მაჩვენებლების კავშირბისათვისაც.საბოლოოდ კვლევამ აჩვენა რომ ფსიქოლოგიური დისტრესი რომელიც ახლავს თვით-განსვლების მაღალ მაჩვენებელს ნაწილობრი იხსნება დაბალი თვითკონტროლი და მაღალი პირადი თვითცნობიერების მაჩვენებლით.

9. მზია წერეთელი, ია აფთარაშვილი, ნანუკი ალიბეგაშვილი, ნატო ასათიანი (2021), მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის, მოსწავლეთა სასწავლო მიზნებისა და მეტაკოგნიციის გავლენა აკადემიურ მოსწრებაზე, GESJ: განათლების მეცნიერებები და ფსიქიოლოგია #1 (58), 132-150

კვლევის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობის ტიპების, სწავლის მიზნებისა და მოსწავლეთა მეტაკოგნიციის კომპონენტების ზეგავლენის კვლევა. მოსწავლეების გამოკითხვისთვის გამოყენებული იყო შრაუსა და დენისონის მეტაკოგნიტური ცნობიერების კითხვარი და სასწავლო მიზნების კითხვარი. აკადემიური მოსწრება შეფასდა მოსწავლეთა წლიური ქულებით; მშობლების ჩართულობის შესაფასებლად კი გამოყენებული იყო სპეციალურად შექმნილი კითხვარი, რომელიც მოიცავდა მშობელთა მხარდამჭერი, დამხმარე, მაკონტროლებელი და ინდიფერენტული ჩართულობის ტიპებს.

კვლევაში მონაწილეობდა IX და XII კლასის 153 მოსწავლე და მათი მშობლები. მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პაკეტით - SPSS-23. აიგო წრფივი რეგრესიული ანალიზი, სადაც დამოკიდებული ცვლადი იყო მოსწავლის აკადემიური მოსწრება, ხოლო დამოუკიდებული ცვლადები - მშობელთა ჩართულობის ტიპები, დახელოვნებისა და შესრულების მიზნები, აგრეთვე, მეტაკოგნიტური ცოდნისა და რეგულაციის კომპონენტები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლის აკადემიური მოსწრების პოზიტიური პრედიქტორებია მეტაკოგნიტური რეგულაციის კომპონენტის - ინფორმაციის ორგანიზების უნარისა და დახელოვნების მიზნის ქონა, ხოლო მოსწავლის აკადემიური მოსწრების უარყოფით პრედიქტორებად გამოვლინდა მშობლის ჩართულობის ინდიფერენტული და დამხმარე ტიპები.

კვლევა მნიშვნელოვანია მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის როლის შეფასებისთვის, აგრეთვე, აკადემიურ მოსწრებაზე მოქმედი სწავლის კომპონენტების გააზრებისთვის.

10. ნატა ასათიანი, მზია წერეთელი (2021), ბულინგი ფსიქოლოგიური თეორიების ჭრილში, GESJ: განათლების მეცნიერებები და ფსიქიოლოგია #1 (58), 3-11
ბულინგის ქცევა კომპლექსურობით ხასიათდება, რომელზედაც გავლენას პიროვნული, ინდივიდუალური თუ სისტემური გარემო-ფაქტორები ახდენენ, ამიტომ სხვადასხვა თეორიის ჭრილში შესწავლა მას უფრო გასაგებს ხდის. ნაშრომი წარმოგვიდგენს მთლიან სურათს თუ როგორ არის ბულინგი გააზრებული სოციალური დასწავლის, განვითარების, რეზილიანტობის, დომინანტობის, ეკოლოგიურ სისტემათა, ორგანიზაციული კულტურისა და სხვა თეორიების ჭრილში.
ამასთან, ნაშრომი ბულინგის ფსიქოლოგიური მექანიზმის უკეთ გაანალიზების მიზნით გვთავაზობს, სხვა თორიების პარალელურად, ამ ქცევის ქართული ფსიქოლოგიური სკოლის, დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის მიხედვით გააზრებას, რაც ბულინგის შესწავლის თვალსაზრისით, სიახლეს წარმოადგენს.

11.ნატა ასათიანი, მზია წერეთელი (2021), სამართლიანობა თუ თანასწორობა საკლასო ოთახში, ჟურნალი განათლების მეცნიერება, ტ2. #2.
განათლების სისტემაში მომუშავე ადამიანების თუ მკვლევრების მთავარი საფიქრალი მოსწავლეებისა და სტუდენტების ყველა დონეზე მხარდაჭერაა, რათა მათ მიაღწიონ წარმატებას და კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლების შედეგებზე გავიდნენ. ამ თვალსაზრისით განათლების სპეციალისტები ხშირად საუბრობენ საკლასო ოთახში თანასწორობის უზრუნველყოფაზე, თუმცა ბოლო პერიოდია მკვლევრებმა ყურადღება გაამახვილეს მოსწავლეებისადმი არა მხოლოდ თანასწორ, არამედ ინდივიდუალურ (სამართლიან) მიდგომაზე. წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია აღნიშნული თანამედროვე ხედვის ანალიზი. განხილულია განათლების კვლევის წამყვანი სპეციალისტების მოსაზრებები და შეხედულებები.

12. Makharadze, T., Abashidze, T. (2021); Corporate Social Responsibility and Employer Attractiveness; An International Perspective – Georgia (Chapter 9); ISSN 2196-7075;
კრებულში განხილულია საერთაშორისო კვლევების მონაცემები „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელშიც მონაწილეობდა 20 ქვეყნის 25 უნივერსიტეტი. კვლევის მიზანი იყო იმ ასპექტების დადგენა, რომელიც პრიორიტეტულია სამსახურის მაძიებელი ახალგაზრდებისათვის პოტენციური დამსაქმებლებლის შერჩევისას და არის თუ არა ამ თვალსაზრისით განსხვავება სხვადასხვა ქვეყანას შორის. ჩვენს სტატიაში (რომელშიც გაანალიზებულია 291 სტუდენტის მონაცემი, მეთოდად გამოყენებულია შვარცის ღირებულებების საკვლევი და დამსაქმებლის მახასიათებლების შესაფასებელი კითხვარები) განხილულია ის ძირითადი მახასიათებლები, რომელსაც ითვალისწინებენ ქართველი ახალგაზრდები დამსაქმებლებლის ძებნისას. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდები დამსაქმებელში აფასებენ მის სოციალური პასუხისმგებელობის ტენდენციებს, ე.წ. CSR-ის განზომილებებს. კერძოდ, დასაქმებულების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვას,

სოციალური სერვისებისადმი ხელმოსაწვდომობას. თუმცა სამსახურის ძიებისას, საქართველოში მაცხოვრებელი ახალგაზრდები უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ე.წ. არა CSR-ის განზომილებებს, როგორიცაა კარიერული ზრდის შესაძლებლობები, სამუშაო ატმოსფერო, ხელფასის ოდენობა და მატერიალური კეთილდღეობა. ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი მათთვის აღმოჩნდა დამსაქმებლის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა სოციო-ეკოლოგიური და ეთიკური ასპექტები. კვლევის შედეგებისა და გამოვლენილი სპეციფიკური ტენდენციების ახსნა ნაცადია სოციო-ეკონომიკურ და ღირებულებით კონტექსტში; კერძოდ, ქვეყანაში ჯერ კიდევ დომინანტური ტრადიციული და გადარჩენის ღირებულებების არსებობითა და CSR-ის შედარებით ხანმოკლე ისტორიით.

13. Kitiashvili, A., Abashidze T., & Zhvania , I (in press). Attitudes and Stereotypes of Young People towards Elderly Population: how Significant is their Perception of Difference and Distance from Older People? In progress

კვლევის მიზნია შეისწავლოს ახალგაზრდების დამოკიდებულებები და სტერეოტიპები ხანდაზმულების მიმართ და ამ ცვლადების კავშირი ახალგაზრდებსა და ხანდაზმულებს შორის აღქმულ დისტანციასა და განსხვავებასთან.

გამოკითხვა ჩატარდა თბილისში მოსახერხებელი და თოვლიანი შერჩევით შერჩეული 450 ახალგაზრდასთან.

მონაცემები ცხადყოფს ახალგაზრდების ამბივალენტურულ და შერეულ დამოკიდებულებას ხაბდაზმულთა მიმართ. კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდები ხშირად სტერეოტიპებად აღიქვამენ ხანდაზმულებს, როგორც თბილს და კეთილს, რომელთც შეზღუდული შემეცნებითი შესაძლებლობები აქვთ. გარდა ამისა, ისინი ხშირად აღიქვამენ ხანდაზმულებს, როგორც ძველმოდურებს, არაკონკურენტუნარიანებსა და დაბალი სოციალური სტატუსის მქონეებს. მიუხედავად იმისა, რომ ზანდაზმულებთან აღქმული განსხვავება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული არსებულ სტერეოტიპებთან და დამოკიდებულებებთან, აღქმული დისტანცია არ უკავშირდება მათ. ეს სტერეოტიპები უფრო მეტად შეესაბამება „საბრალო“ კატეგორიას, რომელიც იდენტიფიცირებულია სტერეოტიპული კონტენტის მოდელში (SCM), რომელიც განიხილება როგორც „ფსევდოდადებითი“ დამოკიდებულება ხანდაზმული ადამიანების მიმართ; ეს ასევე უკავშირდება ინფანტილურ ქცევას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხანდაზმულებს არ აძლევენ უფლებას აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ თავსა და ცხოვრებაზე.

კვლევის ეს შერეული მიგნებები აჩვენებს, რომ ხანდაზმული ადამიანების შესახებ ნეგატიური სტერეოტიპები არის სოციალური პრობლემა, რომელიც მოითხოვს შესაბამისი ინტერვენციების განხორციელებას.

საკვანძო სიტყვები: ხანდაზმულები, სტერეოტიპები, დამოკიდებულებები.

14. Labartkava, N., Saginadze, T. Piloting supportive ways to effectively implement school readiness program on the example of Tbilisi kindergartens. https://rsglobal.pl/index.php/ijitss/article/view/1993

2015 წელს შეიქმნა სასკოლო მზაობის პროგრამა იმ ბავშვებისთვის, რომლებიც სასწავლო წლის დაწყებამდე 6 წლის გახდებიან და სექტემბრიდან სკოლის პირველ კლასში დაიწყებენ სწავლას. სასკოლო მზაობის პროგრამის კომპონენტებია: «სასკოლო მზაობის სახელმწიფო სტანდარტი», აღმზრდელის სახელმძღვანელო და აქტივობების კრებული.

კვლევის მიზნებია: სასკოლო მზაობის პროგრამის პროგრამის მიმდინარეობის შესწავლა თბილისის საბავშვო ბაღების მაგალითზე; შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სასკოლო მზაობის პროგრამის ეფექტური განხორციელების მეთოდოლოგიის შემუშავება. პროექტი თბილისში განხორციელდა. ექსპერიმენტული და საკონტროლო სკოლამდელი დაწესებულებების შერჩევა ეფუძნებოდა მსგავს ინფრასტრუქტურას (ახალი აშენებული შენობა, ეზოს არსებობა) და საბავშვო ბაღში სამი-ოთხი დიდი ზომის სასკოლო მზაობის ჯგუფის არსებობას.

პროგრამის მიმდინარეობის შესწავლა მოხდა ინტერვენციამდე და მის შემდეგ. კვლევის მეთოდები გახლდათ ფოკუს ჯგუფი და დაკვირვება. ღიღებული შედეგებიდან გამომდინარე ჩატარდა საგანმანათლებლო პერსონალისათვის სასკოლო მზაობის ტრენინგი და თითოეული ჯგუფის საჭიროებიდან გამომდინარე ქოუჩინგი.

ჩატარებული ინტერვენციის შედეგად ექსპერიმენტული სკოლამდელი დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესი გაუმჯობესდა შემდეგი მიმართულებებით: აღმზრდელები აწარმოებენ დიალოგს და ბავშვებს ინდივიდუალურად და მცირე ჯგუფებში უსვამენ კითხვებს; ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სხვადასხვა სახის აქტივობებში და თამაშებში (თამაშები წესებით, როლური თამაშები, მოძრავი თამაშები, შემოქმედებითი აქტივობები); ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლად მიიღონ და გამოიყენონ სასწავლო და სათამაშო რესურსები; ჯგუფი იყენებს ხელნაკეთ და მეორად რესურსებს; ჯგუფური სივრცე ორგანიზებულია თემატურ ცენტრებად; ჯგუფში გამოყენებულია ბუნებრივი მასალები; ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლად აიღონ სათამაშოები და რესურსები; აღმზრდელებმა გეგმავენ თემასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან აქტივობები (აქტივობა, თამაშები წესებით, როლური თამაშები, პროექტი); აღმზრდელი აკვირდება ბავშვებს, რათა შეაფასოს ისინი.

15. T. Bandzeladze, L. Arutiunov , Pablo Espinosa El papel de los factores familiares y la autorregulación: problemas de comportamiento en adolescentes de Georgia.

თ. ბანძელაძე, ლ.არუთინოვა, პაბლო ესპინოზა მოზარდთა პრობლემური ქცევა: ოჯახთან დაკავშირებული ფაქტორებისა და და თვითრეგულაციის როლი კვლევის მთავარი მიზანია მოზარდთა პრობლემური ქცევის ფსიქოსოციალური ფაქტორების შესწავლა. კვლევის ფარგლებში შეფასდა ოჯახის სტრუქტურის, მშობელთა ქცევის მოდელებისა და მოზარდის ქცევის მონიტორინგის, ასევე, თვითრეგულაციის, როგორც გარემოსა და ქცევას შორის მედიაციური ცვლადის, კავშირი მოზარდის პრობლემურ

ქცევასთან. კვლევა კორელაციური დიზაინისაა. მონაცემები შეგროვდა თვითანგარიშის კითხვარის გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 14-18 წლამდე ასაკის 150 მოზარდმა, მათ შორის, 60 - კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი პრობაციის სააგენტოდან და დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან, ხოლო 90 მოზარდი თბილისის საჯარო სკოლებიდან, რომელთაც არ აქვთ კანონთან კონფლიქტის გამოცდილება. კვლევის შედეგების თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების უფრო მეტი რაოდენობა ცხოვრობს არასრულ ოჯახებში, ვიდრე მსგავსი გამოცდილების არმქონე მათი თანატოლები. ამავე დროს, არასრულ ოჯახებში მცხოვრებ მოზარდებთან უფრო მაღალია პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებელი, ხოლო დაბალია მშობლის მიერ მოზარდის ქცევის მონიტორინგი. კორელაციური და რეგრესიული ანალიზის შედაგად გამოვლინდა, რომ მშობლის მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება დადებითად უკავშირდება მოზარდის პრობლემურ ქცევას, ხოლო კონვენციონალური ქცევის მოდელირება და მოზარდის ქცევის მონიტორინგი - უარყოფითად. რაც შეეხება თვითრეგულაციას, მისი ხარისხის ზრდასთან ერთად პრობლემური ქცევის მაჩვენებელი მცირდება, თუმცა, თვითრეგულაციის პრედიქტორული ღირებულება ვერ აღწევს სტატისტიკური მნიშვნელოვნობის დონეს. მოცემულ კვლევაში თვითრეგულაცია, როგორც ინდივიდუალური დონის ცვლადი, არ წარმოადგენს სტატისტიკურად სანდო მედიაციურ ცვლადს აღქმულ გარემოსა და პრობლემურ ქცევას შორის.

კვლევის შედეგები ადასტურებს დევიაციური ქცევის პრევენციის პროცესში მულტისისტემური მიდგომის მნიშვნელობას, რომელიც, უპირველესად, ოჯახის გაძლიერებაზე მიმართულ ღონისძიებებს გულისხმობს. კვლევის თეორიული ღირებულება უკავშირდება მოზარდთა პრობლემური ქცევის ახსნისას გარემოს და ინდივიდუალური დონის ცვლადების ერთიანად შეფასებას. თუმცა, თვითრეგულაცია ნაწილობრივ უკავშირდება პრობლემურ ქცევას, მნიშვნელოვანია, აგრეთვე, შეფასდეს მოზარდების ატიტუდები ნორმატიული და დევიანტური ქცევისადმი, რათა შესაძლებელი იყოს მათ შორის ინდივიდუალური განსხვავებების ახსნა პრობლემური ქცევის დონის თვალსაზრისით. შემდგომ კვლევებში მნიშვნელოვანი იქნება,აგრეთვე, გარემოს ცვლადთა შესწავლა არა მხოლოდ რესპონდენტების მიერ შევსებული თვითანგარიშის კითხვარებით, არამედ, აგრეთვე, სოციალიზაციის აგენტთა უშუალო მონაწილეობით კვლევაში.

16. TINATINI BANDZELADZE , LUIZA ARUTIUNOV , Peer pressure and adolescents' problem behavior / თანატოლთა ზეგავლენა და მოზარდთა პრობლემური ქცევა

კვლევის ძირითადი მიზანი იყო მოზარდების თანატოლთა გავლენისა და მათი პრობლემური ქცევის ურთიერთკავშირის შეფასება. კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, თანატოლთა გავლენა მოზარდების პრობლემურ ქცევაზე გაშუალებულია მორალური გამოთიშულობით, რომელიც დევიაციური ქცევის მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებებზე მიუთითებს. კვლევა კორელაციური დიზაინისაა და მონაცემები მიღებულია თვითანგარიშის კითხვარების გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 14-დან 18 წლამდე ასაკის 150 მოზარდმა, მათ შორისაა 60 კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი, პრობაციის სააგენტოდან და დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან, ხოლო 90 მსგავსი გამოცდილების არმქონე მოზარდი, თბილისის საჯარო სკოლებიდან. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ პრობლემური ქცევის ყველაზე ძლიერი პრედიქტორია

თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება, რომლის კავშირიც მოზარდის პრობლემურ ქცევასთან გაშუალებულია მორალური გამოთიშულობით. თანატოლთა მხრიდან პრობლემური ქცევის სანქციონირების მოლოდინი უარყოფითად კორელირებს მოზარდის პრობლემურ ქცევასთან, თუმცა კავშირი სუსტდება, როდესაც მოზარდის ტოლერანტული დამოკიდებულება დევიაციური ქცევის მიმართ ძლიერია. კვლევის შედეგები მიუთითებს მოზარდთა პრობლემური ქცევის პრევენციაში მულტისისტემური მიდგომის მნიშვნელობაზე, რომელიც, მოზარდის ინდივიდუალურ მახასიათებლებთან ერთად, მისთვის მნიშვნელოვანი სოციალური გარემოს კომპონენტებზე ფოკუსირებას გულისხმობს.

დასკვნები: კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ თანატოლთა პრობლემური ქცევის მოდელი მოზარდის პრობლემური ქცევის ყველაზე მნიშვნელოვანი პრედიქტორია. კორელაციურმა და რეგრესიულმა ანალიზმა, აგრეთვე, გვიჩვენა, რომ თანატოლთა მხრიდან პრობლემურ ქცევაზე კონტროლი უარყოფითად კორელირებს მოზარდების პრობლემურ ქცევასთან. მედიაციურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მორალური გამოთიშულობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მედიაციური ცვლადია თანატოლთა მხრიდან კონტროლსა და პრობლემურ ქცევას შორის. თანატოლთა მხრიდან კონტროლსა და პრობლემურ ქცევას შორის კავშირის ინტენსივობა მცირდება, თუ მოზარდთა ტოლერანტობა დევიანტური ქცევის მიმართ იზრდება. კვლევის შედეგები მოწმობს მოზარდების პრობლემური ქცევის პროფილაქტიკისადმი მულტისისტემური მიდგომის ეფექტიანობაზე. მულტისისტემური მიდგომა არა მხოლოდ ორიენტირებულია მოზარდების მახასიათებლებზე, არამად, აგრეთვე, ითვალისწინებს სოციალური ფაქტორების, კერძოდ, თანატოლთა და ოჯახის მნიშვნელობას დევიანტური ქცევის პროფილაქტიკაში. კვლევის სიახლე და თეორიული ღირებულება განპირობებულია მოცემული მრავალფაქტორიანი თეორიული მოდელით, რომელიც თავის თავში აერთიანებს შესაბამის ინდივიდუალურ და გარემოს მახასიათებლებს, რომლებიც უკავშირდება პრობლემურ ქცევას მოზარდობის ასაკში.

17. A 6-year longitudinal study of neurocognitive problems in children with epilepsy. DOI: 10.1016/j.braindev.2021.03.007

ლონგიტუდური კვლევის მიზანი იყო 6-დან 13 წლამდე ასაკის ეპილეფსიის მქონე ბავშვების ნეიროფსიქოლოგიური სპეციფიკური გამოვლინებების ანალიზი. გამოკვლეული იყო 2010 დან 2015 წლამდე ეპილეფსიის ცენტრში მიღებული 6-დან 13 წლამდე ასაკის ეპილეფსიის მქონე და პრაქტიკულად ჯანმრთელი ბავშვების კოჰორტა.ყველა ბავშვს ჩაუტარდა პრაქსისის, გნოზისის, ვიზუალურ-მოტორული და ვიზუალურ-სივრცითი ფუნქციების, მუშა და ფონოლოგიური მეხსიერების ნეიროფსიქოლოგიური შეფასება. გათვალისიწნებული იყო ისეთი დამოუკიდებელი ცვლადები, როგორიცაა ეპილეფსის დაწყების ასაკი და ხანგრძლივობა, ანტიეპილეფსიური წამლების და მათი დოზირება, ნეიროვიზიაულური სტრუქტურული კვლევის, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის შედეგები. კვლევის შედეგებით ეპილეფსიის მქონე ბავშვთა ნახევარზე მეტს აღამოაჩნდა უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების დარღვევები, რომლის პრედიქტორი იყო ანტიეპილეფსიური წამლებიდა მათი დოზირება და თავის ტვინის ნეიროვიზუალური კვლევით დადასტურებული სტრუქტურული დაზიანებები.

18. Smith, P. B., Easterbrook, M. J., Koc, Y., Lun, V. M. C., Papastylianou, D., Grigoryan, L., ... & Chobthamkit, P. (2021). Is an emphasis on dignity, honor and face more an attribute of individuals or of cultural groups?. Cross-Cultural Research, 55(2-3), 95-126.

ეს კვლევა ადარებს ღირსების, პატივისა და სახის კულტურული ლოგიკის საზომს ინდივიდუალურ და ნიმუშის დონის პროგნოზირებულ სარგებლობას. უნივერსიტეტის სტუდენტებმა 24 ერიდან 29 ნიმუშში გამოიყენეს მარტივი საზომი მათი ადგილობრივი კულტურის დამახასიათებელი ინტერპერსონალური კულტურული ლოგიკის აღქმის შესაფასებლად. შემდეგ იქნა გამოკვლეული ამ ზომების ნომოლოგიური ქსელი. ძირითადი დამოკიდებული ზომები მოიცავდა სამ განსხვავებულ ასპექტს დამოუკიდებელი და ურთიერთდამოკიდებული თვითკონსტრუქციის, შესაბამისი დამოკიდებულებებისა და ღირებულებების, ფაქტობრივი ინტერპერსონალური კონფლიქტების მოხსენების შესახებ და ნორმატიულ გარემოებებზე რეაგირებას. მრავალდონიანი ანალიზებმა გამოავლინა როგორც ინდივიდუალური, ასევე ნიმუშის დონის ეფექტები, მაგრამ ღირსების საზომმა აჩვენა უფრო ინდივიდუალური დონის ეფექტები, მაშინ როცა ნიმუშის დონის ეფექტები შედარებით უფრო მნიშვნელოვანი იყო სახის ზომით. განხილულია ამ კონტრასტის შედეგები.

19. Krys, K., Yeung, J. C., Capaldi, C. A., Lun, V. M. C., Torres, C., van Tilburg, W. A., ... & Vignoles, V. L. (2021). Societal emotional environments and cross-cultural differences in life satisfaction: A forty-nine country study. The Journal of Positive Psychology, 1-14.

ამ ნაშრომში წარმოგიდგენთ „სოციალური ემოციური გარემოს“ კონცეფციას: საზოგადოების ემოციურ კლიმატს (ოპერაციული, როგორც საზოგადოებაში დადებითი და უარყოფითი ემოციების გამოხატვის ხარისხი). 49 ქვეყნიდან 12,888 მონაწილისგან შეგროვებული მონაცემების გამოყენებით, ჩვენ ვაჩვენებთ, თუ როგორ განსხვავდება სოციალური ემოციური გარემო ქვეყნებსა და კულტურულ კლასტერებში და განვიხილავთ ამ განსხვავებების პოტენციურ მნიშვნელობას კეთილდღეობისთვის. მრავალდონიანი ანალიზები მხარს უჭერდნენ უარყოფითი ემოციების გამოხატვის მოდელს „ორლესლიანი მახვილით“, სადაც ნეგატიური ემოციების გამოხატვა წინასწარმეტყველებდა უფრო მაღალ ცხოვრებით კმაყოფილებას გამომსახველისთვის, მაგრამ დაბალი ცხოვრებით კმაყოფილება საზოგადოებისთვის. ამის საპირისპიროდ, ნაწილობრივი მხარდაჭერა დაფიქსირდა უფრო მაღალი სოციალური ცხოვრებით კმაყოფილებისთვის პოზიტიურ სოციალურ ემოციურ გარემოში. ჩვენი კვლევა ხაზს უსვამს პოზიტიური და ნეგატიური ემოციების გამოხატვის ერთმანეთისგან განასხვავების პოტენციურ სარგებლობასა და მნიშვნელობას.

20. Krys, K., Park, J., Kocimska-Zych, A., Kosiarczyk, A., Selim, H. A., Wojtczuk-Turek, A., ... & Adamovic, M. (2021). Personal life satisfaction as a measure of societal happiness is an individualistic presumption: evidence from fifty countries. Journal of Happiness Studies, 22(5), 2197-2214.

მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ სოციალური ბედნიერება დაკავშირებულია ინდივიდუალიზმთან, მაგრამ ამ ფენომენის ბუნება ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. მიმდინარე ნაშრომში ჩვენ მივმართავთ ამ ხარვეზს და ვამოწმებთ მსჯელობას, რომ ინდივიდუალიზმი კორელაციაშია სოციალურ ბედნიერებასთან, რადგან სოციალური ბედნიერების ყველაზე გავრცელებული საზომი (ანუ, ქვეყნის დონეზე პირადი ცხოვრებით კმაყოფილების აგრეგატები) არის ინდივიდუალიზმის თემა. ორმოცდაათ ქვეყანაში 13,009 მონაწილისგან შეგროვებული მონაცემებით, ჩვენ შევადარებთ ბედნიერების ოთხი ტიპის ასოციაციებს (აქედან სამი უფრო კოლექტივიზმის თემაზეა, ვიდრე პირადი ცხოვრებით კმაყოფილება) ინდივიდუალიზმის ორ განსხვავებულ საზომს. ჩვენ გავიმეორეთ წინა აღმოჩენები იმის დემონსტრირებით, რომ სოციალური ბედნიერება, რომელიც იზომება ქვეყნის დონეზე პირადი ცხოვრებით კმაყოფილების მთლიანობაში, კორელაციაშია ინდივიდუალიზმთან. რაც მთავარია, ჩვენ ასევე აღმოვაჩინეთ, რომ კოლექტივიზმის თემის ქვეყნის დონეზე აგრეგატები…

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ანასტასია ქიტიაშვილი, მომხსეებელი და ორგანიზატორი
2. ეკატერინე ფირცხალავა
3. ნინო ქიტოშვილი, ეკატერინე ფირცხალავა
4. თეონა ლოდია
5. ელენე კვანჭილაშვილი

2) მოხსენების სათაური

1. დადებითი სოციალური იდენტობის ფორმირება: განწყობის, აღქმული მსგავსებისა და სუბიექტური ნორმების გავლენა
2. ქართველი ემიგრანტები გერმანიში - კონფლიქტები ჯგუფის შეიგნით და გჯუფის გარეთ
4. ბავშვთა და მოზარდთა ცევითი და ემოციური სირთულეები პანდემიის კონტექსტში
5. შიში და ენთუზიაზმი: ტედ ბრეიდერის მიგნებების სისტემური ანალიზი

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 26 ნომებერი, 2021 “სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები- 2021”
2. 26 ნომებერი, 2021 “სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები- 2021”
4. 20-21 დეკემბერი, 2021. I ეროვნული სამეცნიერო ფორუმი
5. 26 ნოემბერი, 2021 “სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები - 2021”

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ნინო ქიტოშვილი, ეკატერინე ფირცხალავა

2) მოხსენების სათაური
1. ДОСТУПНОСТЬ ПСИХОСОЦИАЛЬНЫХ УСЛУГ В ПРОЦЕССЕ СПОРНОГО СУДЕБНОГО РАЗВОДА

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. VI. INTERNATIONAL EUROPEAN CONFERENCE ON SOCIAL SCIENCES June 4-6, 2021 / Kyiv, UKRAINE

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა).

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

1. **რუსუდან სანაძე** - განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, პედაგოგიკის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი

აკადემიური პერსონალი:

1. გრძელიძე ირმა, ასოც. პროფესორი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
2. მინდაძე ივანე, ასოც. პროფესორი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
3. პეტრიაშვილი იზაბელა, ასოც. პროფესორი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
4. სანაძე რუსუდან, ასოც. პროფესორი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
5. ქიტიაშვილი ზაქარია, ასოც. პროფესორი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
6. ღვინერია ეთერ, ასოც. პროფესორი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
7. ჩახუნაშვილი ნინო, ასისტენტ-პროფესორი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
8. ჭკუასელი ქეთევან, პროფესორი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
9. ხარაძე ეფემია, ასისტენტ-პროფესორი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. „აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების გავლენის შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე საქართველოში“ , უმაღლესი განათლება
2. „ინსტიტუციური ეფექტიანობის ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, უმაღლესი განათლება
3. უნივერსიტეტების ავტონომია საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები
4. აკადემიური პერსონალის მიერ კოვიდ-19-ის გავლენის შეფასება მათსავე აკადემიურ დატვირთვაზე ბრიტანულ და ქართულ უნივერსიტეტებში

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2020-2021
2. 2019-2021
3. 2021-2022
4. 2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - კვლევის კოორდინატორი;
   ირმა გრძელიძე - მონაწილე (საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელი);
   ნინო ალავიძე - მონაწილე;
   ციცინო თურქაძე - მონაწილე;
   ნინო შიუკაშვილი - მონაწილე;
   ნინო გომელაური - მონაწილე;
   ნია თაბაგარი - მონაწილე;
   თამარ თალაკვაძე - მონაწილე;
   მაია გელაშვილი - მონაწილე;

2. **ირმა გრძელიძე** - კოორდინატორი
   ივანე მინდაძე - მონაწილე
   თინათინ გაბრიჩიძე - მონაწილე
   რუსუდან სანაძე - მონაწილე
   დავით სიხარულიძე - მონაწილე
   თინათინ დავითაშვილი - მონაწილე
   დავით ყიფიანი - მონაწილე

3. **პოლ გიბსი** - კოორდინატორი;
   ირმა გრძელიძე - მონაწილე;
   თამარ სანიკიძე - მონაწილე;

გიორგი შარვაშიძე – მონაწილე;
გიორგი ლაზარიაშვილი – მონაწილე;
დავით ჩერქეზიშვილი – მონაწილე;
ქეთევან აფთარაშვილი - მონაწილე.

4. **ლიანა ბეატი** – კოორდინატორი;
პოლ ლისი - მონაწილე;
მინგ ჩენგი - მონაწილე;
ჯული სილი - მონაწილე;
ირმა გრძელიძე – მონაწილე;
რუსუდან სანაძე – მონაწილე;
იზაბელა პეტრიაშვილი – მონაწილე;
თეა გერგედავა - მონაწილე.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):

1. კვლევითი პროექტის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების 2017 წელს განახლებული აკრედიტაციის სტანდარტების ზეგავლენის შეფასება ქართულ საგანმანათლებლო რეალობაზე. კვლევა ორ მიმართულებად მიმდინარეობს: პირველ ეტაპზე მოხდა, 2018-2020 წლებში სააკრედიტაციოდ წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების შემფასებელ ექსპერტთა დასკვნების და აკრედიტაციის საბჭოს ოქმების შედარებითი ანალიზი პროგრამების საფეხურების და წლების მიხედვით. ასევე, იდენტიფიცირებულ იქნა ყველაზე რთულად და მარტივად დასაკმაყოფილებელი სტანდარტები და კომპონენტები; გაანალიზდა ექსპერტთა რეკომენდაციები, რჩევები და მათ მიერ შეფასებული საუკეთესო პრაქტიკები. კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა გამოკითხვა უსდ-ებს, აკრედიტაციის ექსპერტებსა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრებს შორის. გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კვლევაში მონაწილეობა მიიღო უსდ-ების 169 წარმომადგენელმა, მათ შორის რეგიონული, თბილისის, კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებმა; ასევე, 44-მა აკრედიტაციის ექსპერტმა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 18-მა წევრმა. მიმდინარეობს მონაცემების დამუშავება და ანალიზი. კვლევის ანგარიშები წარდგენილი იქნება ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე და ასევე, ხელმისაწვდომი იქნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. პროექტმა განიცადა გარკვეული ცვლილებები 2021 წელს და დაიშალა პროფილური მიმართულებებით და ის თეორიული ჩარჩო, რომელიც გამოყენებული იყო ყველა პროგრამასთან მიმართებით, მოდიფიცირდა დარგების შესაბამისად.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):

2. უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომლის ეფექტიანობა დამოკიდებულია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებზე. მხოლოდ მათი ბალანსი იძლევა საშუალებას უზრუნველყოფილი იქნეს სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის მაღალი სტანდარტები, რასაც ითხოვს ერთის მხრივ ყველა დაინტერესებული მხარე და მეორეს მხრივ კი - უმაღლესი განათლების საქართველოსა და საერთაშორისო სტანდარტები, საბოლო ჯამში კი ეს პროცესი უზრუნველყოფს მოსახლეობისა და აკადემიური საზოგადოების უნივერისტეტისადმი ნდობას, უნივერსიტეტის, როგორც ინსტიტუციის რეპუტაციის ზრდასა და აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში. პროექტის მიზანია, თსუ-ში ინსტიტუციური განვითარების, სამუშაო პროცესების განხორციელების ეფექტურობის უზრუნველყოფის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობის, ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესისათვის და საერთაშორისო საუნივერსიტეტო რანჟირების სისტემებში მონაცემებისათვის შეგროვება/წარდგენის მიზნით, აგრეთვე სტრატეგიული სამოქმედო გეგმების შერსულების მონიტორინგისათვის სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა, სერვისებისა და უნივერსიტეტის არსებული რესურსების შესახებ მონაცემების შეგროვების, ანალიზის და ანგარიშგების სისტემის განვითარება და დანერგვა. მიმდინარე რეჟიმში, შემუშავებულია ინდიკატორების გარკვეული სისტემა და ხდება მათი ინფორმაციული მართვის პორტალზე განთავსების პილოტირება. 2021 წელს დასრულდა აღნიშნული მოდელის ტექნიკური დავალება და დაიწყო მუშაობა სოფტის პილოტურ ვერსიაზე. აღნიშნული პროექტის გარკვეული ნაწილები წარდგენილ და გავრცელებულ იქნა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაზე: 1. ირმა გრძელიძემ და თინათინ გაბრიჩიძემ 2021 წლის 29-30 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ერთობლივ კონფერენციაში "უნივერსიტეტის დანიშნულება და ინსტიტუციური ავტონომია: გამოწვევები და მათი გავლენა საქართველოზე", სადაც ირმა გრძელიძემ წარადგინა მოხსენებები შემდეგ თემებზე: "საქართველოში ინსტიტუციური ეფექტიანობის წინასწარი კვლევა" თამარ სანიკიძის თანაავტორობით და "ანგარიშვალდებულების გამოწვევები: როგორ აისახება გარე ანგარიშვალდებულება უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასების სისტემაზე? თსუ-ს მაგალითი" თინათინ გაბრიჩიძის თანაავტორობით. 2. ირმა გრძელიძისა და თინათინ გაბრიჩიძის მიერ საერთაშორისო კონფერენციაზე INTED 2021 წარდგენილ იქნა ნაშრომი: Measuring and Improving Institutional Effectiveness and Establishing Quality Culture at Universities through rigorous data collection and weighted indicators (Case of Georgia, TSU); 3. ირმა გრძელიძემ და თინათინ გაბრიჩიძემ მონაწილეობა მიიღეს ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის ფორუმის 2021 წლის კონფერენციაზე, სადაც თინათინ გაბრიჩიძემ წარმოადგინა მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის, გამოცდილებისა და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და შესრულების ინდიკატორების საფუძველზე შედეგების შეფასების შესახებ.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):

3.კვლევა ეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიას საქართველოში. კვლევის შედეგები გაზიარებული იქნება პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას, უნივერსიტეტის, როგორც სტრატეგიული აქტორის, შიდა და გარე მმართველობის, ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების მაგალითზე. კვლევა აქცენტირებულია ქართული უნივერსიტეტის როლზე საკანონმდებლო ნორმებით განსაზღვრული ავტონომიისა და აკადემიური თავისუფლების გამოყენებაზე. კვლევის ფარგლებში ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე, რომლის წინასწარი შედეგებიც წარდგენილ იქნა ორი უნივერსიტეტის (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):

4. კვლევის მიზანია გამოიკვლიოს COVID19-ის გავლენა განათლების მიმართულებით აკადემიური პერსონალის დატვირთვაზე ბრიტანულ და ქართულ უნივერსიტეტებში. კვლევის მიზნებისთვის აკადემიური პერსონალის დატვირთვა გულისხმობს სამ მიმართულებას: სწავლა-სწავლება, კვლევა და საზოგადოების განვითარების მიზნით შესრულებული სამუშაოები. კვლევითი პროექტი აქცენტირებულია როგორც საუკეთესო პრაქტიკის, ისე გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენაზე, განსაკუთრებით სამუშაო დატვირთვის კოვიდ-19-ით ზემოქმედებით გამოწვეულ ცვლილებებთან დაკავშირებით. კვლევის საბოლოო შედეგები გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას, რომელიც დაეხმარება მათ პანდემიის პირობებში აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ეფექტურად დაგეგმვასა და წარმართვაში. კვლევის ფარგლებში სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა კითხვარი, ჩამოაყალიბა საპროექტო განაცხადი და დაამტკიცა იგი ბრიტანული უნივერსიტეტების (Edge Hill University; Liverpool John Moores University) კვლევით საბჭოებზე.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. ERASMUS + [როექტი: Developing and Implementing Technology-Enhanced Teaching and Learning at Georgian HEIs (DITECH) 4) (618766-EPP-1-2020-1-EE- EPPKA2-CBHE-JP)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2021-2024

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. იზაბელა პეტრიაშვილი, თანა-კოორდინატორი და თსუ ინსტიტუციური მენეჯერი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკულიშედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. პირველი წლის განმავლობაში შეიქმნა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის ინოვაციური კურსების სილაბუსები, მოიძიებული იქნა თეორიული და პრაქტიკული მასალები და რესურსები, შედგენილი იქნა ქართულენოვანი რიდერები, შექმნა პროექტის ვებგვერდი, ასევე ფეისბუქზე ოფიციალური გვერდი, სადაც ასახულია ყველა აქტივობა, შეხვერის ანგარიშები და ამ დროისთვის მიღწეული შედეგები.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. იმერ ბასილაძე, ეთერ ღვინერია

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. იან ამოს კომენიუსის “მათეტიკა” (სწავლის თეორია),ISBN 978-9941-484-26-1

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

4) გვერდების რაოდენობა
1. 192 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში განხილულია პედაგოგიკის კლასიკოსის იან ამოს კომენიუსის ”მათეტიკა”- სწავლის თეორია, რომელიც ჯერჯერობით სათანადოდ არ არის შესწავლილი და დღემდე არ იყო ცნობილი ქართული პედაგოგიური აზროვნებისათვის. იგი პირველად ქვეყნდება ქართულ პედაგოგიურ სივრცეში. აქვე შესწავლილია და გადმოცემულია დიდი მოაზროვნის მიერ დამუშავებული სწავლის პრობლემური საკითხები.

იან ამოს კომენსკის მათეტიკა ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის ხელოვნება, რომელიც გულისხმობს: სკოლის მთლიანად მოსწავლეთა საჭროებებზე კონცენტრირებას; მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობითი ურთიერთობას; სწავლის პროცესში მოსწავლის თვითგანვითარებასა და თავისუფალ თვითრეალიზაციას; სასწავლო პროცესის, ისე მოწყობას, რომელიც კონკრეტული მოსწავლის ინტერესებსა და ინიციატივას გაითვალისწინებს;

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. იმერ ბასილაძე, ეთერ ღვინერია
2. იმერ ბასილაძე, ეთერ ღვინერია
3. ნინო ჩახუნაშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN
1. იან ამოს კომენსკის მათეტიკა და დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია, ,ISNN 15 12- 195X
2. იან ამოს კომენიუსის"„მათეტიკის" ზოგადი საფუძვლები, ISNN 15 12- 195X
3. მოზარდთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობა (ISSN 1512-0333)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე#, 18, 2019
2. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე#, 19, 2019
3. საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი - ინტელექტი, 2 (69)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი
2. თბილისი
3. თბილისი, საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი ინტელექტი

5) გვერდების რაოდენობა
1. 7 გვ
2. 9 გვ
3. 88 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. იან ამოს კომენსკის მიერ" მათეტიკაში"გამოთქმული სწავლის პროცესთან დაკავშირებული მოსაზრებები და დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია ერთმანეთთან თანხმობაშია. ორივე კონცეფციის ამოსავალი კრედო ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნაა: ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება; სწავლისადმი დადებითი განწყობის და გარემოს შექმნა; შესაძლებლობების, უნარების განვითარება; მთლიანპიროვნული მზაობა და ძალების გახსნა და არა მხოლოდ ინტელექტუალური განვითარება (რაც მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი).

ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში უნდა ვისაუბროთ სასწავლო პროცესში იან ამოს კომენსკისა და დიმიტრი უზნაძის მიერ დასმულ ყოველდღიურ პრობლემებზე და

სირთულეებზე, რათა დავძლიოთ ისინი და შევქმნათ სრულფასოვანი მოსწავლეზე ორიენტირებული განმავითარებელი გარემო, მათი ინტერესების და სურვილების გათვალისწინებით, რათა გახდეს შესაძლებელი ადამიანისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა, ინტელექტუალური მოთხოვნილება, სწავლის, ცოდნის წყურვილში გადაიზარდოს. ამის გარეშე სწავლის პროცესი სათანადო შედეგს ვერ გამოიღებს.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. მათეტიკა წლების მანძილზე დიდაქტიკის ჩრდილში იყო, უფრო მეტიც ითვლებოდა მის შემადგენელ ნაწილად, მასზე დაქვემდებარებულად, კარგი სწავლებისა და არა დადგენილი სწავლის კანონზომიერების მეცნიერულად შესწავლის და სწორად გამოყენების შედეგი
ვფიქრობთ, რომ იან ამოს კომენიუსის მათეტიკური პრინციპების შემოტანა ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას.

იან ამოს კომენსკის მათეტიკა ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის ხელოვნება, რომელიც გულისხმობს:

- სკოლის მთლიანად მოსწავლეთა საჭროებებზე კონცენტრირებას;
- მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობითი ურთიერთობას;
- სწავლის პროცესში მოსწავლის თვითგანვითარებასა და თავისუფალ თვითრეალიზაციას;
- სასწავლო პროცესის, ისე მოწყობას, რომელიც კონკრეტული მოსწავლის ინტერესებსა და ინიციატივას გაითვალისწინებს;
- სასიამოვნო სასწაავლო გარემოს;
- მოსწავლე მკვლევარს- კომენსკის მიაჩნია, რომ მოსწავლემ სწავლის პროცესში უნდა იკვლიოს, მიიღოს ახალი ინფორმაცია, აღმოაჩინოს ახალი მოვლენა, მიღებული ინფორმაცია და ათვისებული საგანი დაუკავშიროს ერთმანეთს და თვითონ შექმნას ცოდნა.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. თვითოეული მოზარდი განუმეორებელი ინდივიდია, რომელსაც საერთო თვისებებთან ერთად აქვს საკუთარი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებები, რაც მასზე პედაგოგიური ზემოქმედების პროცესში გათვალისწინების ანუ თვითეულისადმი ინდივიდუალური მიდგომას მოითხოვს. ინდივიდუალური თავისებურებები ბავშვთა და მოზარდთა სხვადასხვა მონაცემების - აღქმის, აზროვნების, ემოციების, ინტერესების, ნიჭიერების, მისწრაფებების, ტემპერამენტის იდეალების ხასიათების სფეროში ვლინდება.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. იმერ ბასილაძე, ეთერ ღვინერია
2. Харадзе Ефемия Мефодьевна, Барановска Лилия Владимировна

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. "პარადიგმის ცვლილება-სწავლების პარადიგმიდან სწავლის პარადიგმამდე (დიდაქტიკიდან - მათეტიკამდე), ISSN 1512-0279
2. სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. ИННОВАЦИОННО-ТЕХНОЛОГИЧЕСКИЙ ХАРАКТЕР ВЫСШЕГО ОБРАЗОВАНИЯ В ПЕРИОД ПАНДЕМИЧЕСКИХ ТРАНСФОРМАЦИЙ. Серия: ПЕДАГОГИКА. ПСИХОЛОГИЯ.
ინდექსი კოპერნიკუსი, კატეგორია B.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. სკოლის მართვა" 2020 #2
2. ВЕСТНИК НАЦИОНАЛЬНОГО АВИАЦИОННОГО УНИВЕРСИТЕТА, К.: НАУ, 2021. - № 18.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. ბილისი. განათლებისა და მეცნიერების, სპორტის სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
2. http://jrnl.nau.edu.ua/index.php/VisnikPP/article/view/15469

5) გვერდების რაოდენობა
1. 5 გვ.
2. 8 (გვ.10-18)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. XXI საუკუნის განათლების ერთ-ერთ მახასიათებელს სასწავლო პროცესის ახლებური გააზრება წარმოადგენს, რომელიც ე.წ. "სწავლების მოდელიდან" "სწავლის მოდელზე" გადანაცვლებაში (აქცენტის გადატანაში) ჰპოვებს ასახვას.
სწავლების მოდელი მასწავლებელზე/ავტორიტეტზეა ორიენტირებული, ძირითადად ინფორმაციის/ცოდნის გადაცემას ეფუძნება და ამავდროულად ზღუდავს ინტერაქციის შესაძლებლობას.
სწავლის მოდელის ამოსავალ წერტილს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის დამოუკიდებლად შეძენას, სასწავლო აღმოჩენებს, მსჯელობას, პრობლემების გადაწყვეტას, შესაბამისი დასკვნების გაკეთებას.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. სტატიაში წარმოდგენილია პანდემიის პერიოდში ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენების პრობლემის თეორიული შესწავლის შედეგები. კვლევის მიზანია თეორიულად დაასაბუთოს პროფესიულ მომზადებაში ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენების მიზანშეწონილობა უმაღლეს სასწავლებლებში პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის დიზაინის ცვლილებებთან დაკავშირებით. დასაბუთებულია უმაღლესი განათლების განვითარების ტრანსფორმაციულ ეტაპზე ინოვაციური-ტექნოლოგიური მიდგომის გამოყენების მიზანშეწონილობა. გაკეთდა ძირითადი კვლევის კონცეფციების საბოლოო ანალიზი. კვლევის შედეგებმა აჩვენა პედაგოგთა არასრული მეთოდური და ინსტრუმენტული მზაობა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის სასწავლო პროცესის შერეულ და დისტანციურ ფორმებზე ტოტალური გადასვლის პირობებში. მიზეზობრივი და სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზის მეთოდებმა დაადგინეს/დაადასტურეს უმაღლეს განათლებაში პანდემიით გამოწვეული წინააღმდეგობების დასაძლევად ისეთი ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენების მიზანშეწონილობა, როგორიცაა ჰიბრიდული და დისტანციური სწავლების, სიტუაციური სწავლების ტექნოლოგიები. დასკვნები: პანდემიასთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესის ორგანიზებაში განსახორციელებელი ცვლილებების საჭიროებამ მოითხოვა ჰიბრიდული და დისტანციური სწავლების ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება/განახლება, ასევე, საგანმანათლებლო საქმიანობის მოდერნიზების თვალსაზრისით, სპეციალური ტრენინგების აუცილებლობა პედაგოგიური პერსონალისათვის, რაც ხელს შეუწყობს მათი პრაქტიკული უნარების, პროფესიული ღირებულებითი სისტემის განვითარებას, რაც ცალსახად უკავშირდება ახალი საგანმანათლებლო პარადიგმის ფორმირების პროგნოზებს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ქ. ჭკუასელი, თ. ბრამიძე, თ. მორჩილაძე
2. ქ. ჭკუასელი, ზ. ქიტიაშვილი
3. ირმა გრძელიძე, თამარ სანიკიძე
4. ირმა გრძელიძე, თინათინ გაბრიჩიძე
5. იზაბელა პეტრიაშვილი, ლია ახალაძე, თამარ შინჯიაშვილი
6. ზურაბ ხონელიძე, ლია ახალაძე, თამარ შინჯიაშვილი, იზაბელა პეტრიაშვილი
7. ზაქარია ქიტიაშვილი, მარინე გოგნელაშვილი

2) მოხსენების სათაური
1. საგაკვეთილო პროცესისი გამოწვევები დისტანციური სწავლების პროცესში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში
2. ბავშვთა უფლებების სწავლების პრაქტიკა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში / 2016-2021 წლები/

3. "უნივერსიტეტის დანიშნულება და ინსტიტუციური ავტონომია: გამოწვევები და მათი გავლენა საქართველოზე"
4. "უნივერსიტეტის დანიშნულება და ინსტიტუციური ავტონომია: გამოწვევები და მათი გავლენა საქართველოზე"
5. ევროკავშირის Erasmus + ახალი პროექტი DITECH და ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლების გამოწვევები საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლი დაწესებულებებში
6. ახალი ტექნოლოგიებით სწავლების შესაძლებლობები უნივერსიტეტებში ევროკავშირის საგანმანათლებლო პროექტის DITECH- საფუძველზე
7. რესურსი მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის
3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. სოხუმის უნივერსიტეტი, 02.08.2021
2. ბათუმი, საერთაშორისო კონფერენცი, 23-24, 09.2021
3. საქართველოში ინსტიტუციური ეფექტიანობის წინასწარი კვლევა. 2021 წლის 29-30 ოქტომბერი, თბილისი
4. ანგარიშვალდებულების გამოწვევები: როგორ აისახება გარე ანგარიშვალდებულება უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასების სისტემაზე? თსუ-ს მაგალითი. 2021 წლის 29-30 ოქტომბერი, თბილისი
5. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 02.08.2021
6. 20-21 დეკემბერი, 2021, საქართველოს I ეროვნული სამეცნიერო ფორუმი (ჰიბრიდული), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
http://www.scienceforum.ge/index.php/ka/programa?fbclid=IwAR1pAs7xNDjWqkU1qYgoAHIF5XT2YuKy_Uu81ejavh8Yvwu5dOmLTc6luRY
7. 20-21 დეკემბერი, 2021, საქართველოს I ეროვნული სამეცნიერო ფორუმი (ჰიბრიდული), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
http://www.scienceforum.ge/index.php/ka/programa?fbclid=IwAR1pAs7xNDjWqkU1qYgoAHIF5XT2YuKy_Uu81ejavh8Yvwu5dOmLTc6luRY

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. დისტანციურ სწავლებაზე იძულებითმა გადასვლამ სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა მსოფლიოს, და მათ შორის, საქართველოს განათლების სისტემა. განსაკუთრებული სირთულეების წინაშე დადგა საგაკვეთილო პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა საფეხურზე, რაც გამოწვეული იყო არა მხოლოდ ტექნიკური საკითხების მოუგვარებლობით, არამედ სწავლების სრულიად ახალ, მანამდე უცნობ ფორმატზე გადასვლით, რამაც მოულოდნელობების წინაშე დააყენა მასწავლებელთა და მოსწავლეთა ტრადიციული ურთიერთობების ფორმები. შესაბამისად, წინამდებარე კვლევა აქტუალურია და სიახლეა ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის.

მასწავლებელის პროფესია საქართველოში რეგულირებადი დარგია, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ მასწავლებლის პროფესიისადმი გარკვეული მოთხოვნების დაწესებას. მოთხოვნები გაწერილია სახელმწიფო დოკუმენტებში - მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტი, დარგობრივ მახასიათებელი, ეროვნულ სასწავლო გეგმა;

კვლევის თეორიულ ეტაპზე განისაზღვრა კვლევის მიზანი, შესაბამისად, მოთხოვნები საგაკვეთილო პროცესისადმი როგორც პედაგოგიკის მეცნიერების პოზიციიდან, ასევე, წარმოდგენილი სახელმწიფო დოკუმენტების მიხედვით და მოხდა მათი შედარებითი ანალიზი;

თეორიული კვლევის საფუძველზე შემუშავდა კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის ინსტრუმენტები. ჩატარდა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევები, კერძოდ, ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფები. კვლევის რესპოდენტები - მასწავლებლები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები); სკოლის დირექტორები; მშობლები;

თეორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ:

- პედაგოგიკის მეცნიერება მასწავლებლის პროფესიულ მახასიათებლებს ხედავს სამი კომპონენტის ერთობლიობით - ცოდნა საგანში; მეთოდური მომზადება - ცოდნა პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინების; პიროვნული თვისებები.
- საქართველოს სახელმწიფო დოკუმენტებში გაწერილი მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები არ იმეორებს პედაგოგიკის მეცნიერებაში დამკვიდრებულ მოთხოვნებს, მათ შორის აზრობრივი განსხვავებებია;
- სახელმწიფო დოკუმენტებში გაწერილი მოთხოვნები მასწავლებლის პროფესიისადმი არ არის კორელაციაში საქართველოს კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან;
- ემპირიული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა დისტანციური სწავლების პრობლემები საქართველოში, კერძოდ,
- მოსწავლეთა სოციალური მდგომარეობა - ყველა მოსწავლეს არ აქვს შესაბამისი ტექნიკა როგორც რეგიონში, ისე დედაქალაქში. განსხვავება საჯარო და კერძო სკოლებს შორის. შესაბამისად, ძალიან ბევრი მოსწავლე აღმოჩნდა განათლების მიღების მიღმა.
- მრავალშვილიანი ოჯახები - ყველა ბავშვს არ აქვს საკუთარი ტექნიკა, ამიტომ მათი გაკვეთილებზე ჩართვა სისტემატიურად ვერ ხერხდება. ზამთარში, იმ ოჯახებში, სადაც ერთი ოთახი თბება მხოლოდ და ოჯახში რამდენიმე მოსწავლეა;
- უკეთეს შემთხვევაში, მოსწავლეების 30% არ ან ვერ ესწრებოდა დისტანციურ გაკვეთილებს;
- ცოცხალი კომუნიკაციის არარსებობა გავლენას ახდენს განათლების ხარისხზე. ის ბავშვებიც კი, ვინც ესწრებიან, სრულად ვერ ახდენენ ადაპტირებას აღნიშნულ რეჟიმთან - მოსწავლეებთან უკუკავშირის პრობლემები, დროის ფაქტორი;
- ტექნიკური და პროგრამული ხარვეზები - ინტერნეტი და მისი ხარისხი;
- მასწავლებელთა და მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციები - ახალი ტექნოლოგიური რეალობა, რომელსაც ათვისება სჭირდება
- სასწავლო პროგრამის სრულად დაფარვის საკითხი - პრაქტიკულად ვერც ერთი საგნის მასწავლებელმა ვერ გაიარა პროგრამა, განსაკუთრებით უჭირთ საბუნებისმეტყველო საგნებს და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს;
- სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა - მეთოდების არსენალი მწირია, შეფასების სისტემა არაობიექტური - კარგი მოსწავლეები, რომელთაც არ აქვთ ინტერნეტი, გამორთული კამერები;

- ჰიბრიდული სწავლების სირთულეები;
- დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის სერიოზული სირთულე აღმოჩნდა იმ უნარების განვითარების ხელშეწყობა, რომელიც დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვისაა დამახასიათებელი - ფიზიკური უნარები, მოსწავლეთა ჯანმრთელობის საკითხი, სოციალური და ემოციური უნარები, კომუნიკაციური უნარები, კითხვის, წერის და მეტყველების უნარები და სხვა.

ცხადია, ეს ყოველივე სამომავლოდ აისახება სასკოლო და სოციალურ სივრცეებზე;

მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა თვისებრივი კვლევის დროს. საკითხი ეხება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და მასში გაწერილ მოთხოვნებს. სამწუხაროდ, მასწავლებელთა უმრავლესობისთვის არ არის ცნობილი რას ნიშნავს პოზიტიური სასწავლო გარემო, რა იგულისხმება უსაფრთხოებაში, რას ნიშნავს თვითრეგულირებადი ქცევა და როგორ უნდა შეუწყოს მის განვითარებას ხელი და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ის მოთხოვნები, რასაც სახელმწიფო უყენებს ყველა მასწავლებელს, თავად მასწავლებლებისთვის ბუნდოვანია. სამწუხაროდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი არ იცნობს ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს;

ემპირიული კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა დისტანციური სწავლების გარკვეული დადებითი მხარეები, კერძოდ,

- დისტანციური სწავლებით გაიზარდა მოსწავლეთა და მასწავლებლების ციფრული კომპეტენციები;
- დისტანციურმა სწავლებამ გაზარდა მშობელთა ჩართულობა, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ამ ჩართულობამ გადაამეტა ზღვრებს და იქცა არასასურველ ჩართულობად;
- იმ ფაქტმა, რომ დისტანციურ გაკვეთილებს მოსწავლის ოჯახის წევრები ისმენდნენ, მასწავლებელთა ნაწილს პროფესიული განვითარების მოტივაცია მისცა. ისინი უფრო ეფექტურად ატარებდნენ გაკვეთილებს, რადგან იცოდნენ, რომ უსმენდნენ;
- დისტანციური სწავლების წყალობით **შეიქმნა უამრავი საგანმანათლებლო რესურსი**, რომელთა გამოყენება საკლასო ოთახებშიც შეიძლება.
- საგანმანათლებლო სივრცემ დისტანციური სწავლებით დაინახა გამოსავალი, თუ როგორ უნდა დაძლიოს დროისა და სივრცის პრობლემები;
- თითქმის ყველა მასწავლებელმა დადებითი მხარეც დაინახა ამ რთულ პროცესში. მათი აზრით, დისტანციური სწავლებიდან მიღებული გამოცდილება უკვალოდ არ ჩაივლის და ისინი ტრადიციულ საგაკვეთილო პროცესშიც შეძლებენ მის გამოყენებას როგორც დამხმარე ალტერნატიულ საშუალებას;

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი არ ჩაშლილიყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, და შეიძლება ითქვას, რომ ფორმალურად ასეც იყო, ემპირიული კვლევის შედეგების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ვითარება მაინც უმძიმესია და კონტროლს არ ექვემდებარება, აღარაფერს ვიტყვით სასწავლო პროცესის ხარისხზე. ვფიქრობთ, წელიწადნახევარი

საკმარისი დროა იმისთვის, რომ სახელმწიფომ გააანალიზოს არსებული ვითარება და სერიოზული ნაბიჯები გადადგას ვითარების გამოსწორების თვალსაზრისით.

კვლევის შედეგების შესაბამისად შემუშავდა რეკომენდაციები.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

2. **Ketevan Chkuaseli,** Professor at the Department of Education Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University; ketevan.chkuaseli@tsu.ge; mob., 593331218;
Zakaria Kitiashvili, Associate Professor at the Department of Education Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Zakaria.kitiashvili@tsu.ge; mob., 593915173;

Current Situation and Perspectives in terms of Children's Rights to Support the Education and Preparation of Future Professionals at Universities (including during emergencies).
The theses here are intended for oral presentation.

Practice of Teaching Children's Rights at Ivane Javakhishvili Tbilisi State University / 2016-2021
Key words: children's rights, research capacities, educational programs

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

5. **ანოტაცია:** მოხსენება ეხება ერაზმუს+ ახალ პროექტის DITECH პროექტის ძირითადი მიზანია უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება საქართველოს უნივერსიტეტებში ტექნოლოგიით გაძლიერებული სწავლება-სწავლის განვითარებისა და დანერგვის გზით. კოვიდ-19 პანდემიამ მრავლი გამოწვევის წინაშე დააყენა საქართველოს უდს-ები ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ. პროექტის ფარგლებში შექმნილი ინოვაციური პროგრამები და ტრენინგკურსები მიმართულია აკადმიური პერსონალის ციფრული კომპეტენციისა და უნარების გასაუმჯობესებლად მოხდება ცოდნის გადაცემის მეთოდების დივერსიფიკაციისთვის, მათ შორის ონლაინ/შერეული სწავლების საშუალებით.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

6. *კვლევის მიზანი:* საქართველოს უნივერსიტეტებში ახალი კორონავირუსის COVID 19-ის სფუძველზე შექმნილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი დაძლევის მექანიზმების დისემინაცია ევროკავშირის პროექტის DITECH-ის იდეებისა და კონ-ცე-ფ-ციის საფუძველზე.
კვლევის მეთოდები და ინტრუმენტები: კვლევის პროცესში გამოყენებულია თვისე-ბ-რი-ვი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: შემთხვევის ანალიზი (Case Study), ანკეტირებისა და გამოკითხვის მეთოდების გამოყენებით ონლაინ სასწავლო პროცესში არსე-ბუ-ლი პრობლემების იდენტიფიცირება; დამუშავდა სფეციფიკური ლიტერატურა,

ხოლო დოკუმენტური კვლევის საფუძველზე, კვლე-ვის ჯგუფმა გაანალიზა ევროკავშირის საგანმანათლებლო პროექტის DITECH-ის კონცეფცია, განახორციელა პროექტის წევრების მიერ შექმნილი სასწავლო კურსებისა და მათში წარმოდგენილი თემატიკისა და სასწავლო რესურსების ანალიზი; *ფოკუს ჯგუფი*: სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.

კვლევის შედეგები: კვლევის შედეგების საფუძველზე პანდემიის პირველ ეტაპზე, უნივერსიტეტებში გამოვ-ლი-ნდა მთელი რიგი პრობლემები: სასწავ-ლო პროცესის სრუ--ლ-ფასოვანი განხორციელების საფრთხე, რაც გამოწვეული იყო უნი-ვე--რსი-ტე-ტების ონ-ლაინ სასწავლო პროცესზე გადას-ვ-ლი-სას აკადემიური პერსონალისა და სტუ-დე-ნ-ტე-ბის მხრი-დან ონლაინ პლატფორმების სასწავლო პროცესში გამოყენების არცოდნით; აკადემიური პერსონალის მხრიდან სასწავლო რესურსების ონლაინ პლა-ტ-ფო-რ-მებზე განთავსების პრობლემა; სტუდენტთა მხრიდან ონლაინ პლატფორმებზე არსებული სასწავლო რე-სუ-რ-სების შეზ-ღუ-დული ხელმისაწვდომობა; ახალი ონლაინ სასწავლო რესურსების შექმნისა და სტუდენტებისთვის მათი ხელ-მი-სა-წვდომობის გაზრდა; სტუ-დე-ნ-ტთა ცოდნის შეფასების ვალიდურობა: საშინაო დავალებების, შუა-ლე-დური და ფინალური შეფასებების, ზოგადად, სტუ-დე-ნ-ტთა ცოდნის სწორი შეფასების მექანიზმების მოძიება; კითხვის ნიშნები ლაბორატორიული და პრაქ-ტი-კუ-ლი მეცა-დი-ნე-ობების ონლაინ პლატფორმაზე ჩატარების შესაძლებლობებში; ასევე გამოვლინდა სასწავლო პრო-ცესის თანმდევი მრავალი სხვა პრო-ბლემა;

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7. მოხსენებაში წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ბაზაზე 2021 წელს განხორციელებული პროექტის ,,რესურსი მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის“ შუალედური ანგარიში.

პროექტის იდეას საფუძვლად დაედო მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისა და მასწავლებელთა საუნივერსიტეტო კონფერენციის - „უნივერსიტეტი სკოლას - სკოლა უნივერსიტეტს“ მონაწილეთა გამოკითხვის შედეგები, რომელმაც ცხადყო, რომ დამწყები მასწავლებლის პროფესიული განვითარების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსების ერთიანი თემატური კატალოგის არარსებობა წარმოადგენს;

პროექტის განხორციელების პროცესში უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებენ განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები; ,,რესურსი მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის“ თემატური კატალოგის შექმნის ეტაპები:

- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამუშავება ქრონოლოგიურ ჭრილში;
- საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა - მოდელების გაანალიზება;

- მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის შექმნილი სასწავლო-მეთოდური რესურსების ქართულენოვანი ერთიანი ბაზის შექმნა;
- სასწავლო-მეთოდური რესურსების ქართულენოვანი ერთიანი ბაზის თემატური კატალოგიზაცია და თვისებრივი ანალიზი;
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების ღია საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნა.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ირმა გრძელიძე, თინათინ გაბრიჩიძე
2. ზაქარია ქიტიაშვილი
3. ნინო ჩახუნაშვილი, ქეთევან ბაქანიძე
4. ეფემია ხარაძე

2) მოხსენების სათაური

1. უნივერსიტეტებში ინსტიტუციური ეფექტიანობის გაზომვა და მისი გაუმჯობესება, ხარისხის კულტურის დანერგვა მონაცემთა შეგროვებისა და შეწონილი ინდიკატორების გამოყენების გზით (თსუ-ს მაგალითი)
2. MODULAR PROGRAMS OF VOCATIONAL EDUCATION AT TBILISI STATE UNIVERSITY – BASIC TENDENCIES
3. СЛОЖНОСТИ В ОБРАЗОВАНИИ ЭТНИЧЕСКИХ МЕНЬШИНСТВ В УСЛОВИЯХ ПАНДЕМИИ (НА ПРИМЕРЕ ГРУЗИИ)
4. Тарас Шевченко и грузинские просветители

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. INTED 2021, სევილია, ესპანეთი,ონლაინ, 09.2021
2. 23.04.2021, IV Международный симпозиум „Социокультурный ДИСКУРС МУЛЬТИКУЛЬТУРНОГО МИРА: НАУКА, ОБРАЗОВАНИЕ, КОММУНИКАЦИЯ, „АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ВЫСШЕГО ПРОФЕССИОНАЛЬНОГО ОБРАЗОВАНИЯ“ პროფესიული განათლების ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კათედრა, ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტი ქ. კიევი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

3. ონლაინ კონფერენცია/უკრაინა 2021 წელი 3-4 ივნისი
4. 23.04.2021, IV Международный симпозиум „ГУМАНИТАРНЫЙ ДИСКУРС МУЛЬТИКУЛЬТУРНОГО МИРА: НАУКА, ОБРАЗОВАНИЕ, КОММУНИКАЦИЯ“, პროფესიული განათლების ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კათედრა, ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტი ქ. კიევი (უკრაინა).

დანართი

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

8. სტიპენდია

№	მონაწილე/მონაწილეები	სტიპენდიის დასახელება და გამცემი ორგანო/პირი
1	ირმა გრძელიძე	ფულბრაიტის სტიპენდია (Fulbright Scholarship) მკვლევრებისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, 08.2021-12.2021

9. საერთაშორისო პროექტები

№	მონაწილე/მონაწილეები	პროექტის სახელწოდება
1	ირმა გრძელიძე	პროექტის მონაწილე: PROFFORMANCE - Assessment tool and Incentives for Developing Higher Education Teachers' Performance; ERASMUS+ Initiatives to support the implementation of European Higher Education Area (EHEA) reforms EPLUS2020-EHEA09-2019
2	ირმა გრძელიძე	პროექტის კოორდინატორი - Strengthening the Quality and Relevance of the 3rd mission in Georgian Universities - SQUARE 618612-EPP-1-2020-1-GE-EPPKA2-CBHE-SP funded under the Erasmus+ 'Capacity Building in Higher Education' action.
3	ირმა გრძელიძე	პროექტის მონაწილე - Bologna Hub Peer Support, https://eu.daad.de/programme-und-hochschulpolitik/bologna/bologna-hub-peer-support/de/
4	ირმა გრძელიძე	პროექტის მონაწილე - Leadership and Organisation for Teaching and Learning at European Universities – LOTUS https://eua.eu/resources/projects/786-lotus.html

5	ირმა გრძელიძე	პროექტის მონაწილე - Assuming Responsibility for Climate Change – arc https://arcc.mdx.ac.uk/

10. პუბლიკაციები

№	ავტორი/ავტორები	პუბლიკაციის სახელწოდება და ბმული
1	ირმა გრძელიძე	„Covid-19 and internal quality assurance: practices and challenges“, Expert voices, EUA, 20 Apr 2021, available at https://eua.eu/resources/expert-voices.html?filter_author=Irma%20Grdzelidze&fbclid=IwAR02JGz44bpI3eukREWG77rqTiujBI2-ZRuDvirbwPGzYhzozxXCKW0oVs
2	ირმა გრძელიძე და ავტორთა კოლექტივი	“Meeting skills and employability demands”, Thematic Peer Group Report, EUA, Learning & Teaching Paper N13, 2021 available at https://www.eua.eu/downloads/publications/eua%20tpg%20report_meeting%20skills%20and%20employability%20demands.pdf
3	ირმა გრძელიძე, თინათინ გაბრიჩიძე	Measuring and Improving Institutional Effectiveness and Establishing Quality Culture at Universities through rigorous data collection and weighted indicators (Case of Georgia, TSU), 2021, INTED 2021, available at https://library.iated.org/view/GRDZELIDZE2021MEA

11. ფორუმი

№	მონაწილე/მონაწილეები	ფორუმის სახელწოდება
1	ირმა გრძელიძე	Bologna Hub Peer Support: შუალედური კონფერენცია, მომხსენებელი, 11.2021
2	ირმა გრძელიძე	ევროპული ხარისხის უზრუნველყოს ფორუმი, EQAF - Building trust and enhancement: from information to evidence, მონაწილე 11.2021

3	ირმა გრძელიძე	ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს (EUA-CDE) ყოველწლიური შეხვედრა სადოქტორო განათლებასთან დაკავშირებით - "Preparing doctoral education for a post-pandemic world", მოდერატორი, 09.2021
4	ირმა გრძელიძე	ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) სწავლა-სწავლების ფორუმი - "Embedding and facilitating sustainability", ფასილიტატორი, 02/2021

12. სასწავლო ვიზიტები

№	მონაწილე/მონაწილეები	სასწავლო ვიზიტის განხორციელების ადგილი და თარიღი
1	ირმა გრძელიძე	სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, სან დიეგო, კალიფორნია, აშშ. 23/10 – 09/11/2021
2	ირმა გრძელიძე, თსუ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია	გრანადას უნივერსიტეტი, ესპანეთი. 07.2021

13. ტრენინგი:

1) მონაწილე/მონაწილეები
1. ეფემია ხარაძე, ქეთევან ბაქანიძე

2) სახელწოდება

1.გაეროს ბავშვთა ფონდის, ბულგარეთის საელჩოს საქართველოში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობით, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ განხორციელებული პროექტის „სკოლის მიღმა დარჩენილი ყველაზე მოწყვლადი ბავშვებისა და მოზარდების ჩართვა განათლების სისტემაში ხარისხიანი განათლების მიღებისათვის“ ფარგლებში ჩატარებული ტრენინგი „დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმისა და სწავლების უნივერსალური დიზაინის ინტეგრირება სხვადასხვა საგნობრივი მიმართულების სილაბუსებში“.

3) თარიღი
1. 06.10-12.12.2021,

14. სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრობა:
1) წევრი/წევრები:
1. ეფემია ხარაძე
MINISTRY OF SCIENCE AND EDUCATION OF UKRAINE NATIONAL AVIATION UNIVERSITY FLIGHT ACADEMY OF NATIONAL AVIATION UNIVERSITY, SCIENTIFIC BULLETIN OF FLIGHT ACADEMY Section: Pedagogical Sciences

15. კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის/პედაგოგიკის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის მიერ ჩატარდა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია - უნივერსიტეტი სკოლას სკოლა უნივერსიტეტს /11 დეკემბერი, 2021 წ./ თბილისი/ კონფერენცია ჩატარდება აპლიკაცია "ZOOM"-ის საშუალებით

1) მომხსენებლები:
1.ზაქარია ქიტიაშვილი, მარინე გოგნელაშვილი
2. ივანე მინდაძე

2) მოხსენების სათაური
1. საგანმანათლებლო რესურსი და კოვიდპანდემია
2. სწავლების დისტანციური რეჟიმი და შეფასების პროცესი

16. წარდგენილი პროექტი

1) პროექტის მონაწილეები
1. თამარ მახარაძე, პროექტის კოორდინატორი
2. ეთერ ღვინერია, მონაწილე
3. ირინე ჟვანია, მონაწილე
4. თამარ აბაშიძე, მონაწილე
5. ნანა მაკარაძე, მონაწილე

2) პროექტის სათაური
1. ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი. პროექტის სათაური "მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად"

პროექტის ანოტაცია (ქართულ ენაზე)
ძირითად აქცენტს ვაკეთებთ შშმ პირებსა და მათ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს განვითარებაზე. ფართო გაგებით ინკლუზიური განათლების თავისებურებების კვლევა საჭიროებს მეტად მრავალფეროვანი ადამიანური და სხვა სახის რესურსის არსებობას, მოცემული კვლევა ინტერდისციპლინურ ხასიათს ატარებს, რადგან ქმნის მყარ მტკიცებულებას რამდენიმე სფეროში საჭირო ცვლილებების გასატარებლად. კვლევის

შედეგები ხელს შეუწყობს განათლების მეცნიერებებში მასწავლებელთა მოსამზადებელ პროგრამაში იმ ცვლილებების შეტანას, რომლებიც მომავალ მასწავლებლებს მისცემს უკეთეს პროფესიულ ცოდნასა და უნარებს შშშმ /სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ.

17. ინსტიტუტის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომების რაოდენობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის/პედაგოგიკის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის მიერ დაცული სამაგისტრო ნაშრომების ოდენობა - 43 (სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“)

18. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის/პედაგოგიკის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის მიერ მომზადებული სადოქტორო დისერტაციათა რაოდენობა - 4

1) დისერტანტი/დოქტორი
   1. დავით წამალაშვილი
   2. ელისაბედ ბუსხრიკიძე
   3. ანა გველესიანი

2) თემის სათაური
   1. „ფუნქციის სწავლების საკითხები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე
   2. “ინტეგრირებული სწავლების პრობლემები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში”
   3. „ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე)“
   4. „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“- თეორიის რეალიზაცია პრაქტიკაში -(„გივი ზალდასტანიშვილის- სახელობის- ამერიკული- აკადე-მიის“-- მაგალითზე)“

3) ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები
   1. თსუ პროფესორი თეიმურაზ ვეფხვაძე, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი
   2. თამაზ კარანაძე თსუ ემერიტუს პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი
   3. თსუ ასოცირებული პროფესორი რუსუდან სანაძე, განათლების მეცნიერებების დოქტორი; თსუ ასოცირებული პროფესორი მარინე კობეშავიძე, ფილოლოგიის დოქტორი
   4. თსუ ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი, განათლების მეცნიერებების დოქტორი